# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 20 აპრილი, 2010 წელი.

№72 (6438)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


## დავძლიოთ პარტიული ამბიციები და ურთიერთგაუცხოება!

**არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართვა ოპოზიციური პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებისადმი**

2

## რამაზ საყვარელიძე: ვერ ვხედავ იმ მოტივს, რატომ უნდა ცდილობდეს რუსეთი საქართველოში ხელისუფლების შეცვლას



## ვიდრე ისტორიას აგრე განზრახ კატინკუნტად ჩავკრავთ თვალს

3

## ნოღაიდელი რუსეთს სიტყვით არის ჩახუტებული, ხელისუფლება – საქმით

5

## რაში იხარჯება უცხოეთში ნასესხები მილიარდები?

7

## © SIC! იერუსალიმში შოთა რუსთაველი შეურაცხყვეს



ქართული მხარე იერუსალიმში შოთა რუსთაველის ბარელიეფის დაზიანებაში დამნაშავეების გამოვლენას და დასჯას ითხოვს.

როგორც გუშინ გამართულ ბრიფინგზე საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ დავით ჯალაღანიამ თქვა, შოთა რუსთაველის ბარელიეფის დაზიანებასთან დაკავშირებით საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროში საპროტესტო ნოტა უკვე გაგზავნა.

ამასთან, სპეციალური წერილები გაეგზავნათ ისრაელის შინაგან საქმეთა სამინისტროს და იერუსალიმს მერს.

— ისრაელის შსს-ს წერილით მივმართეთ და იმედი გამოვთქვით, რომ აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით დამნაშავეების გამოვლენა და შესაბამისად დასჯა უახლოეს მომავალში მოხდება, — აღნიშნა ჯალაღანიამ.

შეგახსენებთ, რომ ვანდალური აქტი ისრაელში რამდენიმე დღის წინათ მოხდა. ჯერჯერობით, უცნობმა პირებმა იერუსალიმში მდებარე შოთა რუსთაველის ბიუსტი დააზიანეს. ქართველი პოეტის ბიუსტს თვალები აქვს დაზიანებული. მომხდარ ინციდენტს ადგილობრივი სამართალდამცავები იძიებენ.

რუსთაველის ბიუსტი 2005 წელს იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე დაიდგა, მას შემდეგ, რაც ჯვრის მონასტერში შოთა რუსთაველის უძველესი ფრესკა გადაშალეს.



## ზოოპარკის გადატანა ჯერ არ გადაწყვეტილა

6



## ვირის ხიდი

4

◉ არჩევნები

# დავძლიოთ პარტიული ამბიციები და ურთიერთგაუცხოება!

## არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართვა ოპოზიციური პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებისადმი

30 მაისის ადგილობრივი არჩევნები უმნიშვნელოვანეს ეტაპად უნდა იქცეს სააკაშვილის ავტოკრატიული რეჟიმის კონსტიტუციური მეთოდებით დემონტაჟის გზაზე.

ცნობილია, თუ რა უთანასწორო საარჩევნო გარემოში უწევს ოპოზიციას არჩევნებში მონაწილეობა და, მიუხედავად ამისა, დაწყებული ბრძოლა უნდა მივიდეს იმ გამარჯვებამდე, ურომლისოდაც ქვეყანა ვერ დაიბრუნებს განვითარების პერსპექტივას.

მოვუწოდებთ არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ ძალებს, დაძლიონ პარტიული ამბიციები, ურთიერთგაუცხოება და საარჩევნო პროცესში დაუპირისპირდნენ სახელისუფლებო კანდიდატებს და არა – ერთმანეთს.

მოვუწოდებთ იმ ოპოზიციურ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომლებიც ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს არ მიიჩნევენ ხელისუფლების შეცვლის ეფექტიან საშუალებად, გაითვალისწინონ ალტერნატიული აზრი და ნუ მოუწოდებენ საზოგადოებას არჩევნების იგნორირებისაკენ.

მოვუწოდებთ ამომრჩევლებს, გამოავლინონ აქტიური მოქალაქეობრივი თვითშეგნება და მივიდნენ საარჩევნო ყუთებთან, ხოლო არჩევნების გაყალბების შემთხვევაში ოპოზიციურმა პარტიებმა და საზოგადოებამ გაერთიანებული ძალისხმევით დაიცვან მოპოვებული ხმები.

წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი (ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრიცა და საზოგადოებაცძ, ნებსით თუ უნებლიეთ, ხელს შეუწყობენ სახელისუფლებო კანდიდატის გამარჯვებასა და არსებული რეჟიმის არა მარტო შენარჩუნებას, არამედ მის გაძლიერებასაც ყველა აქედან გამომდინარე სავალალო შედეგით.

წინასაარჩევნო პროცესში ოპოზიციურ ფლანგზე ბუნებრივად გამოიკვეთება ყველაზე მაღალრეიტინგული კანდიდატი. ამის შემდეგ ყველა დანარჩენი კანდიდატის მონაწილეობა საარჩევნო პროცესში მხოლოდ ოპოზიციური ხმების გაყოფას გამოიწვევს და ხელისუფლების წისქვილზე მიუშვებს წყალს. ამიტომაც აუცილებელია, არჩევნების მიჯნასთან ყველამ მხარი დაუჭიროს იმ პერიოდისათვის მკაფიოდ გამოკვეთილ ოპოზიციურ კანდიდატს და მის სასარგებლოდ ოფიციალურად მოხსნას თავისი კანდიდატურა.

ეს იქნება მაღალი პოლიტიკური კულტურისა და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გამოვლენა და ქვეყნის ინტერესებზე ზრუნვის პრაქტიკული გამოხატულება.

„ქართული აკადემია“
„ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“
მოძრაობა „7 ნოემბერი“
მოძრაობა „რატომ“
დემოკრატიის ინსტიტუტი
ერთიანი სტუდენტური ფრონტი
„ზნეობრივი ფრონტი“
ეთნიკურ და კონფესიურ ურთიერთობათა ცენტრი
კოალიცია „ჩვენი უფლებებისათვის“:
ა) დემოკრატიული პრინციპებისა და ადამიანის უფლებათა კავშირი;
ძ) სამხედრო მოსამსახურეების უფლებათა დაცვის ცენტრი;
გძ სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა დაცვის ცენტრი;
დძ „დემოკრატები თქვენი უფლებებისათვის“;
ეძ ორგანიზაცია „გალავანი“;
ვძ დემოკრატთა კავშირი;
ზძ „ყოფილი სამართალდამცავები თქვენი უფლებებისათვის“;
თძ დაპატიმრებულ სამხედროთა მხარდამჭერი კომიტეტი;
იძ ახალგაზრდული ორგანიზაცია „ახალი ტალღა“.
„გადაარჩინე ქონება“
ომის ვეტერანთა კავშირი „ბექთარი“
„ახალგაზრდული ალტერნატივა“
სამოქალაქო მოძრაობა „სოლიდარობა“
ადვოკატთა პროფკავშირები
„სამართალი და საზოგადოება“
„თავისუფალი აზრის სახლი“

◉ ინფორმაცია

### ამომრჩეველთა სიების მონიტორინგის საბოლოო შედეგები

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ამომრჩეველთა სიების მონიტორინგის საბოლოო შედეგები წარმოადგინა. მონიტორინგის შედეგად სიებში სულ 149 ათასზე მეტი მონაცემის ჩასწორება მოხდა, აქედან 133 ათასზე მეტი უშუალოდ ცესკოს მიერ, 16 ათასი კი (13 ათასი მისამართი და 3 ათასი გარდაცვლილიძ პოლიტიკური პარტიების მიერ განხორციელებული შესაბამისი პროცესის შედეგად განხორციელდა.

სიებში აღმოჩენილი უზუსტობებიდან 19,815 ამომრჩეველთა სახელებს, 33,766 – გვარებს, 24,284 დაბადების თარიღებს, 55,094 მისამართებს, 63 შემთხვევა – ერთ ბინაში რეგისტრირებულ ოც და მეტ ამომრჩეველს, 225 დუბლირების შემთხვევას, 2,825 გარდაცვლილი ამომრჩევლის აღმოჩენას შეეხებოდა. სხვა შემთხვევების გამო სიებიდან ამოღებულ იქნა 219 ამომრჩევლის მონაცემი, 12,925 კი ჩასწორდა. ამ უკანასკნელისა და ასევე გამოტოვებული ამომრჩევლების მონაცემების მიმართულებით ცესკო ამ დრომდე მუშაობს.

მონიტორინგის შედეგად, საქართველოს ამომრჩეველთა რაოდენობა 3 580 487 საარჩევნო ასაკის მქონე მოქალაქით განისაზღვრა.

შეგახსენებთ, რომ ამომრჩეველთა სიის მონიტორინგის პროცესში სულ 11 კვალიფიციური და რამდენიმე არაკვალიფიციური სუბიექტი იყო ჩართული. ამ მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტიდან სულ 1 200 ათასი ლარი გამოიყო, რაც კვალიფიციურ პარტიებზე გადანაწილდა.

განახლებული სიის პრეზენტაცია სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ გაიმართა. ღონისძიებას პოლიტიკური პარტიების, არასამთავრობო სექტორის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

### სეპარატისტულ აფხაზეთში საგაზაფხულო გაწვევა იწყება

4 მაისიდან სეპარატისტულ აფხაზეთში სავალდებულო სამხედრო სამსახურის გასავლელად აფხაზეთის მოქალაქეების მიმდინარე წლის საგაზაფხულო გაწვევა დაიწყება. გაწვევა 30 ივნისს დასრულდება.

აფხაზური მხარის ინფორმაციით, აფხაზეთის სამხედრო კომისარიატმა გაწვევა აფხაზეთის ე.წ. თავდაცვის სამინისტროს ბრძანებულების თანახმად უნდა განახორციელოს.

–თუკი ადრე რესპუბლიკის გამწვევი მედკომისია ფორმირებული იყო თავდაცვის სამინისტროს მიერ, ხოლო რაიონულები – ჯანდაცვის სამინისტროს მიერ, ამჟამად გამოცემული ბრძანების შესაბამისად ყველა სამედიცინო კომისიის ფორმირება ჯანდაცვის სამინისტროს პრეროგატივა იქნება, – იუწყება აფხაზური მხარე.

### ნიკარაგუა მსოფლიოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებისკენ მოუწოდებს

ამის შესახებ ინფორმაციას „რია ნოვოსტი“ ნიკარაგუის საგარეო საქმეთა მინისტრ სამუელ სანტოს ლოპესზე დაყრდნობით იუწყება.

– მათი აღიარება სამართლიანია, რადგან მათ უმდიდრესი ისტორია აქვთ და დამოუკიდებლობისთვის იბრძოდნენ, – აღნიშნა ლოპესმა და აქვე დასძინა, რომ აფხაზეთში და ე.წ. სამხრეთ ოსეთში მისი ვიზიტის მთავარი მიზანი ე.წ. სახელ-



მწიფოების მოსახლეობისთვის მორალური და პოლიტიკური მხარდაჭერა იყო.

შეგახსენებთ, რომ ნიკარაგუას დელეგაცია, რომელსაც საგარეო საქმეთა მინისტრი ხელმძღვანელობდა, აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში გასულ კვირაში იმყოფებოდა.

### აფხაზი გოგონა თბილისში მკურნალობს

იაშვილის სახელობის კლინიკაში ეპილეფსიის დიაგნოზით ერთი წლის აფხაზი გოგონა გადმოიყვანეს.

მილენა ტანია ტყვარჩელიდან ქუთაისში გადაიყვანეს, საიდანაც კატასტროფის ცენტრის ბრიგადამ თბილისში წამოიყვანა.

პაციენტი რეანიმაციულ განყოფილებაში იმყოფება. ექიმების განცხადებით მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმე, მაგრამ სტაბილურია.

ერთი წლის გოგონას ეპილეფსია ერთი თვის ასაკში გამოუვლინდა, მას აფხაზეთში მკურნალობდნენ, თუმცა მდგომარეობის გაუარესების გამო, თბილისში გადმოყვანა აუცილებელი გახდა. მკურნალობის ხარჯებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტრო დაფარავს.

ჯი-ეიჩ-ენი

◉ თვალსაზრისი

**„დაიცავი საქართველოს“ ლიდერის ლევან გაჩეჩილაძის გადაწყვეტილებაზე, არ მიიღოს არჩევნებში მონაწილეობა, აგრეთვე, რამდენად დიდია საქართველოში ყირგიზეთის სცენარით პროცესების განვითარების ალბათობა, „ინტერპრესნიუსი“ პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძეს ესაუბრა.**

# რამაზ საყვარელიძე: ვერ ვხედავ იმ მოტივს, რუსეთი საქართველოში

**– ბატონო რამაზ, ლევან გაჩეჩილაძემ განაცხადა, რომ თბილისის მერობისთვის ბრძოლას არ აპირებს. მას მხარი არც ერთი კანდიდატისათვის არ დაუჭერია, თქვენი აზრით, როგორ აისახება მისი გადაწყვეტილება არჩევნებში მონაწილე სხვა ოპოზიციურ კანდიდატთა შედეგებზე?**

– გაჩეჩილაძეს, მართლაც, არ უთქვამს, რომ რომელიმე კანდიდატს დაუჭერს მხარს, მაგრამ მისი ეს ნაბიჯი ხელსაყრელია ისეთი კანდიდატებისთვის, როგორიც არის „ალიანსის“ ლიდერი ალასანია და „ეროვნული საბჭოს“ ლიდერი ძიძიგური. გაჩეჩილაძის ელექტორატი ამ ორივე ოპოზიციური ფლანგის მხარდამჭერად მოიაზრება.

**– ექსპერტთა ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ არჩევნების შედეგები ბევრად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ ვის დაუჭერს მხარს „ლეიბორისტებისა“ და „ფორუმის“ ელექტორატი. თქვენც იზიარებთ ამ აზრს?**



– რა თქმა უნდა, ასეც არის. მაგრამ, თბილისში ძალიან დიდი პროცენტია იმ ადამიანებისა, რომლებსაც ჯერ არ გადაუწყვეტიათ, ვის დაუჭერენ მხარს. თუკი ამ კატეგორიის ელექტორატმა რომელიმე ერთ კანდიდატზე აიღო ორიენტაცია, ამან, შესაძლოა, კარდინალურად შეცვალოს არჩევნების შედეგების სურათი.

**– ბევრს საუბრობენ პოლიტიკაში ლევან გაჩეჩილაძის როლსა და ადგილზე. თქვენი აზრით, რა არის ის, რაც გაჩეჩილაძეს ოპოზიციურ პოლიტიკურ სპექტრში გამოარჩევს?**

– თითოეულ ადამიანს (და პოლიტიკოსებიც ადამიანები არიანძ ურთიერთობის თავისი სტილი, იმიჯი და ხედვები აქვს. ზოგს, ადამიანების გულისკენ სხვა გასაღები აქვს, ზოგს – სხვა. ზოგს – ემოციურობა, ბრძოლის ყიჟინა, ზოგს – რადიკალიზმი ან ზომიერება ახასიათებს, ზოგი გაწონასწორებულია, თითოეულ ამ თვისებას თავისი ელექტორატი ჰყავს. ლევან გაჩეჩილაძის გამორჩეული თვისებებია – გულღიაობა, სანდოობა და ადამიანურობა. მისი ეს თვისებები საზოგადოებისთვის მისაღებია, რაც ნიშნავს, რომ გულღიაობა, სანდოობა და ადამიანურობა მოქალაქეებისთვის პოლიტიკოსთა სხვა თვისებებზე უფრო მნიშვნელოვანი თვისებებია.

**– ლევან გაჩეჩილაძის განცხადება – „არავის მერობისათვის არ ვიბრძოლებ“, ხომ არ შეიძლება აღქმული იყოს იმის ნიშნად, რომ „დაიცავი საქართველოს“ ლიდერი თავს სხვა პოლიტიკური ბრძოლისთვის ინახავს?**

– შეიძლება, გაჩეჩილაძე სხვა პოლიტიკური ბრძოლისათვის ინახავდეს თავს, ვინაიდან საპრეზიდენტო არჩევნებზე საკმაოდ სერიოზული მხარდაჭერა ჰქონდა. თავი რომ დავანებოთ იმაზე საუბარს, არჩევნების შედეგები გაყალბდა თუ არა. მაშინ მიღებული შედეგი მას საფუძველს აძლევს, პოლიტიკაში ბრძოლის გაგრძელების სურვილი ჰქონდეს.

რაც შეეხება სხვა პოლიტიკურ ბრძოლას, პოლიტიკური ბრძოლის ეს ეტაპი დაშორებულია იმ მიზანს, რასაც ხელისუფლების შეცვლა ჰქვია. თვითმმართველობის არჩევნები ხელისუფლების ცვლილების პირდაპირ გზად არ აღიქმება. ხელისუფლების ცვლა დამოკიდებულია კონკრეტულ სიტუაციაზე და კონკრეტულ პოლიტიკოსებზე, იმაზე, თუ რამდენად მოახერხებენ ისინი მშვიდობიანი არჩევნების კარდინალური მნიშვნელობის არჩევნებად გადაქცევას. ადგილობრივ არჩევნებს პოლიტიკაში კარდინალური ცვლილებები არ მოაქვს ხოლმე. შესაძლოა, ლევან გაჩეჩილაძის ამგვარი გადაწყვეტილების მიზეზიც და საფუძველი ისიც იყოს, რომ მისთვის ხელისუფლების შეცვლის ეს ბრძოლი

ფუი ეშმაკს!

# ვიდრე ისტორიას აგრე განზრახ კატინკუნტად ჩავკრავთ თვალს,

## ანუ აწ უკვე „ელდად" სახელდებული „იმედი" არც იმიტირებას იშლის და არც მოდელირებას

რასაკვირველია, დიდი უბედურება მოხდა, დიდი ტრაგედია — პოლონეთის პრეზიდენტთან ერთად თითქმის მთელი პოლონური ელიტა დაიღუპა, ას კაცამდე მთავრობის წევრი, ქვეყანას თითქოს თავი მოეკვეთა ერთ წამში. ამ „თავის მოკვეთამდე" კი აქ, ამ ადგილას, სმოლენსკთან, სოფელ კატინში 70 წლის წინათ „ოცდაორათასკაციანი სხეული" სასიკვდილოდ გაიმეტეს... გებელსის პროპაგანდით — რუსებმა, ხოლო ძალიან დიდხანს თვითონ რუსების მტკიცებით — ფაშისტებმა. თუმცა ბოლოს და ბოლოს ამ საშინელი ტრაგედიისთვის ბოდიში მაინც რუსებმა მოიხადეს. არადა ბევრი რამ ჯერ კიდევ ბურუსით მოცულია, საბოლოო ეჭვშეუვალი დასკვნა არ დადებულა.

ბურუსი იყო ახლაც, 7 აპრილსაც, როცა სმოლენსკთან პოლონეთის პრეზიდენტის თვითმფრინავი ჩამოვარდა. საქმეს იძიებს ცალკე რუსეთი და ცალკე — პოლონეთი. პოლონელები რუსებს ედავებიან, რუსები — პოლონელებს. ეს დავა ხან აშკარაა, ხან — ფარული.

ერთი სიტყვით, არცთუ ურთიერთმოყვარული ორი ქვეყანა უკვე კარგა ხანი ვერ მორიგებულა ერთმანეთში. და აი ამ დროს უცილობელი ჭეშმარიტების დამდგენ მსაჯულად მოგვევლინა 13 მარტის ცნობილი იმიტირებული თუ მოდელირებული გადაცემის შემდეგ აწ უკვე „ელდად" სახელდებული „იმედი", რომელმაც აგერ ახლა, 18 აპრილს, კვლავ გვიჩვენა იმიტირებული თუ მოდელირებული „სპეციალური რეპორტაჟი" თავის განუყრელ წამყვან კობერიძესთან და ექსპერტებთან — ნოდიასთან და ბარნოვთან ერთად... და აწინდელი ხელისუფლების წინაშე ანგარიშვალდებული სინდისის კვალობაზე თავისი მოკლე ჭკუით „საბოლოო წერტილი" დაუსვა როგორც 70 წლის წინანდელ კატინის ტრაგედიას, ისე ამჟამინდელ უბედურებას...



რა ბურუსი, რის ბურუსიო, რა გებელსი, რის გებელსიო.. 1940 წლის აპრილშიც სტალინმა და ბერიამ დახვრიტეს პოლონელი ოფიცრები და 2010 წლის აპრილის ტრაგედიაც ისევ სტალინისა და ბერიას კისერზეაო, ანუ იმხანად სტალინმა და ბერიამ სმოლენსკთან, ახლანდელი აეროდრომის ახლოს, ხე რომ დარგეს, პრეზიდენტ კაჩინსკის თვითმფრინავი ავარიული დაშვებისას სწორედ იმ ხეს წამოედო და დაიღუპაო.

ერთი სიტყვით, ამ ცოდვიანმა სტალინმა და ბერიამ, გარდა იმისა, რომ მაშინ დახოცეს ხალხი, თურმე სპეციალურად ხეც იმიტომ დარგეს, რომ 70 წლის შემდეგ ეს ამჟამინდელი ტრაგედიაც მოეხდინათ...

რათა ეს იმიტირებული თუ მოდელირებული „სპეციალური რეპორტაჟი" უფრო და უფრო დამაჯერებელი ყოფილიყო, ეკრანზე კარგა ხანს ჩანდნენ რომელიღაც ტყის პირას (მოდი და გაიგე, სმოლენსკია თუ კრასნოიარსკი!ძ სტალინი და ბერია, რომელსაც ქამარში ცული აქვს გარჭობილი, წარწერა კი იუწყება: „**ი. ბ. სტალინი და ლ. პ. ბერია ადგილს არჩევენ ხის დასარგავად". აეროდრომი სმოლენსკთან, 1940 წლის აპრილი".**

აი ასე. არც რუსს, არც გერმანელ ფაშისტს. პოლონელი ხალხის სისხლში თურმე ქართველებს გვირევია ხელი. უფრო სწორად, ეს ხელი ძალიან, ძალიან ცუდი ქართველების — სტალინისა და ბერიას ხელი იყოო...

„იმედის", ანუ აწ უკვე „ელდის" ასეთ ლოგიკას თუ გავყვებით, უნდა ვიფიქროთ, რომ ისლანდიის ვულკანის ამჟამინდელი ამოფრქვევაც უთუოდ სტალინისა და ბერიას გათვლებს მოჰყვა, რათა ხელი შეშლოდა სმოლენსკის ტრაგედიის მსხვერპლთა დაკრძალვის ცერემონიალს... თუმცა ვულკანური ბურუსის მიუხედავად, რომელმაც დაკრძალვაზე დასწრებაში მართლაც ბევრი სახელმწიფოს მეთაურს შეუშალა ხელი, სულ უკანასკნელ წამს ამერიკიდან კრაკოვში აღმოჩნდა ჩვენი ჩაუქი პრეზიდენტი და საქართველოსა და პოლონეთის ურყევი მეგობრობის ნიშნად ცხონებული ლეხ კაჩინსკისთვის მინიჭებული საქართველოს ეროვნული გმირის ვარსკვლავი გადასცა განსვენებული პრეზიდენტის ოჯახის წევრებს.

ასეა, ბატონებო, ეს. ცუდმა ქართველებმა მეგობრების დახოცვაც ვიციტ და სიკვდილის შემდეგ, უკვე კარგმა ქართველებმა, ეროვნული გმირის წოდების მინიჭებაც.

და, ალბათ, ასე იქნება მუდამ, ვიდრე ისტორიას აგრე განზრახ კატინკუნტად ჩავკრავთ თვალს და თუნდაც ცოტა მაინც შერჩენილი სინდისი ანგარიშვალდებული გვექნება ფრიად და ფრიად პატივმოყვარე და ყველა სხვა სახელიანი ქართველის მოძულე ხელმწიფის წინაშე.

**გურამ წიკლაური**

ინფორმაცია

### სოხუმის აეროპორტი ვლადისლავ არძინბას სახელობის იქნება

**სეპარატისტული აფხაზეთის მთავრობამ „ვლადისლავ არძინბას ხსოვნის უკვდავყოფისათვის" შესაბამისი დადგენილება მიიღო.**

**დადგენილების მიხედვით, ვლადისლავ არძინბას ძეგლი სოხუმის ცენტრში მდებარე თავისუფლების მოედანზე დაიდგმება. ამავე დადგენილების მიხედვით სოხუმის აეროპორტს ვლადისლავ არძინბას სახელი მიენიჭება. არძინბას სახელობის იქნება ასევე ერთი ქუჩა სოხუმში.**

**ამას გარდა, სეპარატისტული აფხაზეთის პრემიერ-მინისტრის სერგეი შამბას თქმით, ამ ღონისძიებებით არძინბას ხსოვნის უკვდავყოფის ღონისძიებები დასრულებული არ არის.**

**„14 მაისამდე (არძინბას დაბადების დღე) არძინბას ხსოვნის უკვდავყოფის კომისია კიდევ რამდენიმე სხდომას ჩაატარებს და მასზე ამ საკითხთან დაკავშირებული დამატებითი გადაწყვეტილებები იქნება მიღებული", — აცხადებს სერგეი შამბა.**

**შეგახსენებთ, რომ აფხაზ სეპარატისტთა ლიდერი ვლადისლავ არძინბა მიმდინარე წლის 4 მარტს გარდაიცვალა.**

### აფხაზეთისა და ნიკარაგუის მეგობრობა საქართველოს საწინააღმდეგოდ მიმართული არ არის

**სეპარატისტული აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრი მაქსიმ ღვინჯია აცხადებს, რომ აფხაზეთისა და ნიკარაგუის მეგობრობა საქართველოს საწინააღმდეგოდ მიმართული არ არის.**

**„ჩვენ ვმეგობრობთ არა საქართველოს წინააღმდეგ, არამედ მშვიდობისათვის. ვწუხვარ, რომ საქართველო მტკივნეულად აღიქვამს აფხაზეთის მიმართ გადადგმულ ნებისმიერ პოზიტიურ ნაბიჯს", — აცხადებს ღვინჯია.**

**მისივე თქმით, აფხაზეთი საქართველოს ხელისუფლების მიერ გაკეთებულ ყველა საპროტესტო განცხადებაზე კომენტარს რომ აკეთებდეს, მას „თავისი საქმის გასაკეთებლად დრო არ დარჩებოდა".**

ჯი-ეიჩ-ენი

თვალსაზრისი

# რატომ უნდა ცდილობდეს ხელისუფლების შეცვლას

გზა, მერობიდან პროცესის დაწყება არ იყოს მისაღები და მიაჩნდეს, რომ ქვეყანაში პოლიტიკური სიტუაციის შეცვლა უფრო კარდინალურ ნაბიჯებს ითხოვს. შესაძლოა, მის ამ ნაბიჯში, ეს ქვეტექსტიც იგულისხმებოდეს.

**— ამავე კონტექსტში ხომ არ უნდა ვიგულისხმოთ გაჩეჩილაძის განცხადება — „თუ არჩევნები გაყალბდა, ბრძოლის ყველა მეთოდი მისაღები იქნება"...**

— დიახ, მისი განცხადებების ერთ-ერთ მოტივად სწორედ ეს პასაჟი ვიგულისხმე. ქვეყანას გასავლელი აქვს არჩევნების შემდგომი ეტაპი. ეს ის თემაა, რომელზეც ხშირად არ ლაპარაკობენ არჩევნებში მონაწილე და არმონაწილე პარტიები, ანუ რა შეიძლება მოხდეს არჩევნების შემდეგ. სხვათა შორის, ამ თემაზე, რომ ხელისუფლებაც ხშირად ფიქრობს, 13 მარტის „მოდელირებულმა ქრონიკამაც" დაგვანახვა.

სავარაუდოა, რომ არჩევნების შემდგომ მოვლენების განვითარებაზე ყველა პოლიტიკური სუბიექტი თავ-თავის სტრატეგიას ჩამოაყალიბებს. ღმერთმა დაგვიფაროს პროცესების არასასურველი მიმართულებით განვითარებისგან. ყველაფერს სჯობია, პროცესები ტრადიციულ ჩარჩოებში განვითარდეს, მაგრამ თუ კიდევ ჩარჩოებიდან ამოხტომის სტილის აუცილებლობა იქნა, ასეთ შემთხვევაში, მნიშვნელობა არ ექნება, ვინ ილებდა არჩევნებში მონაწილეობას, და ვინ - არა.

**— მედვედევმა დსთ-ს სივრცეში ყირგიზული სცენარით პროცესების გამეორების შესაძლებლობა არ გამორიცხა. საქართველო დსთ-ს წევრი აღარ არის, მაგრამ რამდენად სავარაუდოა საქართველოში პროცესების ყირგიზული სცენარით განვითარების ალბათობა?**

—ალბათ, არ ვიქნები თანმიმდევრული, თუ არ გავიზიარებ აზრს, რომ მედვედევის ეს განცხადება საქართველოსთვის იყო განკუთვნილი. ამის მიუხედავად, მაინც მგონია, რომ რუსეთის ხელისუფლება, რომელსაც არაერთხელ განუცხადებია, რომ მისთვის მიუღებელია საქართველოს ხელისუფლება და ხელისუფლებასთან დაახლოებული მთელი ქართული პოლიტიკური ელიტა, რეალურად ცდილობდეს ამ ელიტის შეცვლას. მე ჩემს აზრზე ვრჩები — ვერ ვხედავ მოტივს, რატომ უნდა ცდილობდეს რუსეთი საქართველოში ხელისუფლების შეცვლას. თუ რუსეთი საქართველოში ხელისუფლების შეცვლას შეეცდება, ეს არ იქნება მისთვის ხელსაყრელი.



რუსეთი საქართველოში ხელისუფლების ცვლას თუნდაც იმიტომ არ უნდა ცდილობდეს, რომ ვისაც ხელისუფლებაში მოსვლის რეალური შანსი აქვს, პრორუსული პოლიტიკური ძალები სულაც არ არიან. რუსეთმა რომც მოიყვანოს ხელისუფლებაში ახალი ძალა, ის ხალხი რას გააკეთებს, არავინ იცის და იანუკოვიჩი ამის კარგი მაგალითია.

და კიდევ ერთი, ნებისმიერი ახალი ძალის ხელისუფლებაში მოსვლა საზოგადოებაში ახალი პოლიტიკური ენერგიის მოზღვავებას, დასავლეთის მხრიდან ამ ხელისუფლებისადმი ახალი ინტერესის გაჩენას გამოიწვევდა.

საქართველოს მიმართ დეკლარირებული მწარე სიტყვები რუსეთს ახასიათებს, მაგრამ საქართველოში ხელისუფლების ცვლილების რეალურ პოლიტიკურ მოტივს ვერ ვხედავ. შეიძლება ითქვას, რომ რუსეთი საკმაოდ ვერაგი პოლიტიკური სუბიექტია და თუ მას პრაგმატულად რაიმე ხელს აძლევს, ამ პრაგმატიზმს ითვალისწინებს და შეიძლება იმის საწინააღმდეგო სვლები აკეთოს, რაც მის დეკლარირებულ პოლიტიკას არ შეესაბამება. რუსეთისთვის ორმაგი და სამმაგი თამაშები ბუნებრივი პოლიტიკური სტილია. ამიტომ, მისი სიტყვების ნდობა, ჩემი აზრით, ადეკვატური არ იქნებოდა, რუსეთი, რუსეთია.

**კობა ბენდელიანი**

არის წინადადება!

# ვირის ხიდი

**თბილისის უბნების, ქუჩების, ცალკეულ ნაგებობათა სახელწოდებებში წარსულის ძვირფასი ნაკვალევია დაშიფრული. იცვლება დრო, იცვლება ქალაქი, იცვლება ძველი დასახელებებიც. სამწუხაროდ, ხშირად ნაჩქარევად, გაუაზრებლად და გაუგებრად, მხოლოდ ხელისუფლების კონიუნქტურული ახირებით (მაგალითად, ჯორჯ ბუშის ქუჩა – მელაანის ნაცვლად, პოლიტკოვსკაიასი – ჯიქიას ნაცვლად, ვარდების მოედანი – რესპუბლიკის მოედნის ნაცვლად და ა. შ.)...**

მაგრამ იშვიათად ისეც ხდება, რომ ხელისუფლების მხრიდან გაუაზრებლად, ძველი სახელი ისევ მოძებნის ხოლმე ქალაქს.

მაგალითად, ვირის ხიდი.

იგი თბილისს ექვსი ათეული წლის შემდეგ დაუბრუნდა.

მართალია ვირი (ყოველ შემთხვევაში, ოთხფეხაძ დემოკრატიის შუქურა საქართველოს დედაქალაქში ფრიად ძნელი მოსაძებნია, მაგრამ ვირის ხიდი აღდგა, თანაც როგორი – აჟურული, აწნული, თითქოს არა სავირე, მაგრამ სწორედაც რომ მაინც ვირის.

ენაკვიმატი თბილისელები მტკვარზე გადებულ ვიწრო, საცალფეხო, ანუ მხოლოდ ფეხით მოსიარულეთათვის გამიზნულ ხიდებს ვირის ხიდებს უწოდებდნენ.

თბილისში გასულ და იმის წინა საუკუნეში, თითქმის ერთდროულად ორი ვირის ხიდი გვქონდა.

მტკვრის ქვედა დინებაში არსებული ორთაჭალის კუნძული ცნობილი იყო ბაღებით, რომლებიც თბილისს ამარაგებდა ხილითა და ბოსტნეულით. კუნძულს მარჯვენა ნაპირთან აკავშირებდა კოფოებზე შეყენებული ხის ვიწრო ხიდი, რომელზეც ხილით სავსე გოდრები სახედრებს გადაჰქონდათ. ამიტომ შეარქვეს მას თბილისელებმა ვირის ხიდი. მტკვრის სანაპიროების მშენებლობის შედეგად მდინარის ტოტიც მოისპო და კუნძულიც, თავის ხიდიანად.

მაგრამ სახელი არ გამქრალა, იგი შერჩა ძველი მეტეხის ხიდს, სადაც ტრანსპორტის მოძრაობა აკრძალული იყო.

1870 წელს მეტეხის კლდის ძირში, მტკვრის კალაპოტის ყველაზე ვიწრო ადგილას, სადაც ახლა 1951 წელს აშენებული ორმალიანი რკინაბეტონის ხიდია, „ამერიკული სისტემის" ლითონის ხიდი აშენდა.

მის მახლობლად ადრიდანვე მოქმედებდა მეორე – უფრო პატარა, ხისა. 1870 წელსვე ისიც ლითონის კონსტრუქციებით აიგო.

დიდზე, რომელსაც ავლაბრისა ერქვა, ურმები, ეტლები და იმ დროის სხვა ტრანსპორტი მოძრაობდა, პატარაზე კი – მხოლოდ ფეხით მოსიარულენი და სახედრები.

1951 წელს, ახალი ხიდის გახსნის შემდეგ (მას მეტეხის ხიდი ეწოდაძ, პატარა, ანუ ვირის ხიდი აიღეს.

კეთილმოეწყო მიმდებარე ტერიტორია და სანაპიროები, რასაც ძველი თბილისის მეტად კოლორიტული უბანი შეეწირა.

მართალი გითხრათ, ვერ გამიგია, რატომ იყო საჭირო „ამერიკული სისტემის" ხიდის პარალელურად ვირის ხიდის არსებობაც,





ძველი ვირის ხიდი

სადაც ეტლები და ურმები მოძრაობდნენ, ფეხით მოსიარულენი და ვირებიც ხომ იოლად ივლიდნენ?

მაგრამ თბილისელებს რას გაუგებ!

ასევე ვერ გამიგია, ამ წინასაარჩევნოდ რომ მტკვარზე, ბარათაშვილისა და მეტეხის ხიდებიდან ორ-ორ ნაბიჯში, მათ შუა, იტალიურ-მოდერნისტული, მინით გადახურული, ფეხით სასიარულო, ანუ ვირის ხიდი აიგო, რომელიც არანაირად – არც არქიტექტურულად, არც მხატვრულად და არც ქალაქგეგმარებითი მიზანდასახულებით არ იწერება ამ უბნის ანტურაჟში, რა დატვირთვა აქვს, ზედ რა „კატეგორიის" ხალხმა და რა დანიშნულებით უნდა იაროს (მოგეხსენებათ, რიყე უკაცრიელია და არც მარჯვენა სანაპიროს იმ უბანში შეინიშნება აწყვეტილად მტკვარზე მორბენალი მოსახლეობაძ.

და ისევ – თბილისელებს რა გაუგებ!

ხელისუფლების გასაგონად მინდა ვთქვა: ძვირფასო ქვეყნისა და ქალაქის მამებო, მთავარი აშენება არ არის, თუნდაც ისეთი მსოფლიოს მერვე საოცრება იყოს, როგორიც თბილისის ახალი ვირის ხიდია. გვახსოვს რა ზარ-ზეიმით ააგეთ იმავე რიყეზე ლითონის რაღაც მექანიკურ-გასართობი მალლივი ჯაბარხანა, რომელმაც მგონი მხოლოდ ერთჯერ აზიდა ხალხით სავსე პლატფორმა ზევით, მერე სამუდამოდ თქვენი ჭირი წაიღო და ასეულ ათასობით დოლარი მტკვარს გაატანა.

ამდენად, სენიორ იტალიელი არქიტექტორის მიერ მოქარგული ხიდის გადება და ამ შემოქმედებითი გმიროზისთვის მისი დაჯილდოება აქამდე არნახული „ბრწყინვალების ორდენით", რომლის არსებობა, აღწერილობა და დებულებაც ისევე უცნობი იყო მოსახლეობისთვის, როგორც ამ ხიდის ვირიანი თუ უვირო მიზანდასახულება, იმისთვის სულაც არ კმარა, რომ დაბეჯითებით ვამტკიცოთ, ამ ნახელავს რამდენადმე პრაქტიკული გამოყენება დაბადებიდან აქვს დანათლულიო, გარდა იმისა, რომ ავლაბრის სასახლის გუმბათიდან, ალბათ, მართლაც უცხოდ მოჩანს.

მაგრამ მე მაინც მინდა მთელი ამ სავირხიდო წამოწყების ინიციატორსა და მისი ბედნიერად დამთავრებით სრულიად ევროპის მასშტაბით ამაყქმნილ საქართველოს პრეზიდენტს მდგომარეობიდან ღირსეულად გამოსასვლელად რამდენიმე რაციონალიზატორული წინადადება შევაშველო.

პირველი. დედაქალაქის მერს გიგი უგულავას დავავალოთ ერთი ესკადრონი ვირების შეძენა (ამ არჩევნების წინ ბატონი გიგი ვირებს კი არა, ბიზონებსაც კი გააჩენს, თუ საქმეს დასჭირდაძ და ამ ესკადრონის ჩართვა ხიდის ექსპლუატაციაში, კერძოდ თბილისელთა და თბილისის სტუმართა მტკვარზე გადაზიდვის საქმეში.

მოვა მარჯვენა სანაპიროდან მარცხენაზე, ან პირიქით გადასვლის მსურველი მოქალაქე, გადაიხდის გარკვეულ თანხას, ვთქვათ, იმდენს, რაც მეტროში მგზავრობა ღირს, მოახტება გიგის ლურჯას, გადაიჩიქჩიქებს ხიდზე და ენერგიით სავსე, ბუნებასთან წილნაყრობით კმაყოფილი გაუყვება გზას.

არ დაიჯეროთ, რომ ვინმე იუკადრისებს სახედარზე ამხედრებას. ბოლოს და ბოლოს, დიდი ბიბლიური მეფეები დავითი და სოლომონი ყოველდღიურად შთაგონებით მგზავრობდნენ ამ დიდყურა, გონიერი პირუტყვით. ესეც არ იყოს, მართალმა იოსებმა ხომ მარიამ ღვთისმშობელი და ყრმა იესო სწორედ სახედრით ჩააპარა ეგვიპტეში.

ისიც სათქმელია, რომ ამ ვირგადაზიდვებით სოლიდური თანხები შევა ბიუჯეტში. ატყდება პატაკ-დაჯამებები ყოველი თვის თუ კვარტალის ბოლოს: „ხიდზე გადაიარა ამდენმა და ამდენმა ვირმა", „ვირთასვლა განუხრელად იზრდება"...

შეიქმნება დამატებითი, ახალი სამუშაო ადგილები: მევირეების, ვირზე შემსმელ-ჩამომსმელების, ვირებისთვის იონჯის დამამზადებლების, ვირის დამჭედების, ასპროცენტიანი სახელმწიფო სააქციო საზოგადოება „ვირის ხიდის" ადმინისტრაციის – დამლაგებლიდან გენერალურ დირექტორამდე...

ფინანსური მაჩვენებლის ამაღლებისთვის მაქვს დამატებითი წინადადება: პიკის საათებში შევზღუდოთ ბარათაშვილისა და მეტეხის ხიდებზე ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობა და მათი ნაკადი ვირის ხიდისკენ წარვმართოთ.

ახლა **მეორე**. ვირის ხიდი სავალდებულოდ ჩავრთოთ ტურისტულ მარშრუტებში. რამდენი ევროპელი და ამერიკელი მისტერი და მადამი იგრძნობს სრულად თბილისის განუზომელ ხიბლს, კმაყოფილი დარჩება ამ ჯანსაღი წამოწყებით – ეთნიკურად ქართული ვირებით თოხარიკით. იმავდროულად შეგვიძლია მხედრებს მივაწოდოთ კულტურულ-ისტორიული ინფორმაცია თბილისზე, მტკვარზე, ტრანსპორტის იმ სახეობაზე, რომლებზეც სხედან...

არის **მესამე** უტყუარი გზაც. პარლამენტარებსა და სახელმწიფო მოხელეებს (ორივე სქესისასძ დავუწესოთ ყოველთვიური აუცილებელი, № რაოდენობის გავლა-გამოვლა ვირის ხიდზე წარმოებიდან მოუწყვეტლად.

გარდა იმისა, რომ ეს ავირება დადებითად იმოქმედებს მათ ჯანმრთელობაზე, დემოკრატიულობის, ხალხისა და ხელისუფლების თანაბრობის, განუყოფლობის ცოცხალი მაგალითიც იქნება.

მივცეთ მათ შეღავათიც: გარიგების საფუძველზე, ვირზე საჯაროდ ჯდომის სანაცვლოდ – ფულადი კომპენსაციის გადახდა.

უთუოდ გაამართლებს!

სხვაგვარად ვირის ხიდი რის მაქნისია?!



ახალი ვირის ხიდი

ალეკო ასლანიშვილი

ბედისწერა

## ნოდარ ქუმარიტაშვილის დაღუპვის მიზეზებზე საერთაშორისო კომისიამ დასკვნა გამოაქვეყნა

**ქართველი ოლიმპიელის ნოდარ ქუმარიტაშვილის სიკვდილი ერთ კონკრეტულ მიზეზს არ გამოუწვევია, – ამის შესახებ საუბარია დასკვნაში, რომელიც ციგაობის საერთაშორისო ფედერაციამ და საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა გუშინ გამოაქვეყნეს.**

დასკვანაში, რომელიც ციგაობის საერთაშორისო ფედერაციის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსდა, ნათქვამია – „ტრაგედია, რაც ნოდარ ქუმარიტაშვილს დაატყდა თავს, წინასწარგაუთვლელი უბედური შემთხვევა იყო, რომელიც სიკვდილით დასრულდა".




ქუმარიტაშვილის გარდაცვალების მიზეზების დამდგენ კომისიას მოციგავეთა საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელი სვეინ რომსტედი და ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი კლერ დელნეგრო ხელმძღვანელობდნენ.

„ყოველმხრივი ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ არ არსებობს ერთი მიზეზი, რის გამოც ნოდარი გარდაიცვალა. ეს იყო ერთმანეთთან დაკავშირებული რთულ მოვლენათა ჯაჭვი, რამაც ამ ტრაგედიამდე მიგვიყვანა", – ნათქვამია ანგარიშში.

20-გვერდიან ანგარიშში მოცემულია ნოდარ ქუმარიტაშვილის სპორტული კარიერის დეტალები, მისი კვალიფიკაცია და, როგორ მოხვდა 2010 წლის ვანკუვერის ოლიმპიადაზე. ანგარიშში, ასევე, მოცემულია უისტლერის ტრასის ტექნიკური დახასიათება და მონაცემებიც, როგორ და რატომ შეიცვალა ტრასა ქუმარიტაშვილის გარდაცვალების შემდეგ.

ანგარიშში სრულად არის გაანალიზებული ნოდარ ქუმარიტაშვილის საბედისწერო დაშვების დეტალები.

ანგარიშის ანოტაციაში, ასევე, ნათქვამია, რომ მოციგავეთა საერთაშორისო ფედერაცია აგრძელებს ნოდარ ქუმარიტაშვილის ოჯახის თანადგომას, თანადგომას უცხადებს საქართველოსაც, რომელიც ბაკურიანში ქუმარიტაშვილის სახელობის საციგაო ტრასის აგებას გეგმავს.

„მოციგავეთა საერთაშორისო ფედერაცია გააკეთებს ყველაფერს, რომ მსგავსი ტრაგედია აღარასდროს განმეორდეს", – ნათქვამია ანგარიშში.

ფედერაციის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ანოტაციაში, ასევე, ნათქვამია, რომ ანგარიში გადაეგზავნა ნოდარ ქუმარიტაშვილის ოჯახს, მსოფლიო ოლიმპიურ კომიტეტს, 2010 წლის ვანკუვერის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტს, კანადის მოციგავეთა ფედერაციას და სხვებს.

ნოდარ ქუმარიტაშვილი 12 თებერვალს, ვანკუვერის ოლიმპიადის გახსნამდე რამდენიმე საათით ადრე, უისტლერის ტრასაზე საკვალიფიკაციო დაშვების დროს დაიღუპა.

ინტერპრესი

მესამე...

# თემურ ნანეიშვილი: ნოღაიდელი რუსეთს სიტყვით არის ჩახუტებული, ხელისუფლება – საქმით

## ოპოზიციას გაერთიანების შანსი კიდევ აქვს



*არასამთავრობო, აპოლიტიკური ორგანიზაცია „ქართული აკადემია" იმდენად ჩართულია პოლიტიკურ ორომტრიალში, რომ წარმოუდგენელიც კია საზოგადოების აქტიურობა მისი მონაწილეობის გარეშე. აკადემიის წევრთა შეხედულებები და პოზიცია ზოგიერთისთვის ორიენტირიც შეიძლება იყოს. ამიტომაც მიზანშეწონილად ჩავთვალეთ გავსაუბრებოდით „ქართული აკადემიის" ერთ-ერთ ხელმძღვანელს* ***თემურ ნანეიშვილს.***

**— ბატონო თემურ, იმის მიუხედავად, რომ თქვენი აკადემიის წევრებმა ღიად დაუჭირეთ მხარი ირაკლი ალასანიას, მაინც ოპოზიციის ერთიან კანდიდატზე ალაპარაკდით. რაშია საქმე?**

— მოდის არჩევნები, რომელსაც ფაქტობრივად მთელი საქართველო ითხოვდა. ვგულისხმობ თბილისის მერის პირდაპირი გზით არჩევის წესს. ვფიქრობ, ეს სწორედ შარშანდელი აპრილის აქციების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიღწევაა. მაგრამ, სამწუხაროდ, აზრები გაიყო. ეს დამახასიათებელია როგორც მთელი ჩვენი საზოგადოებისთვის, ისე პოლიტიკური სპექტრისთვის...

**— ელოდით ასეთ დაქსაქსვას?**

— რა თქმა უნდა, ველოდით, ქართული ხასიათიდან გამომდინარე, ვიცით, რომ „უჩემოდ ვინ იმღერეთას" იდეის მატარებლები ვართ.

**— წაადგებოდა ოპოზიციას გაერთიანება? ან კი რა სავალდებულო იყო ყველა ერთს მიმხრობოდა, არჩევნები არჩევანის საშუალებას ხომ უნდა იძლეოდეს?**

— ერთის გარშემო გაერთიანება მართლაც წაადგებოდა ოპოზიციას, თუმცა, ჩემი აზრით, ჯერ ყველაფერი არ დამთავრებულა. რაღაც მექანიზმებმა უნდა განსაზღვრონ ერთიანი კანდიდატის გამოვლენა და არა ასე მოლაპარაკებებმა.

**— რა ჰქვია ამ მექანიზმს?**

— არსებული რეალური ვითარება. პოლიტიკოსებმა, ყველა პარტიამ უნდა ჩაატაროს საკუთარი კვლევა, ვინაიდან სხვათა გამოკითხვებს არ ენდობიან, მით უფრო – ერთმანეთის კვლევებს (თუმცა ჩემი აზრით, ვთქვათ, იაგო კაჭკაჭიშვილის მსგავსი პროფესიონალი ბევრი არ მეგულება).

**— ბატონო თემურ, მათივე საკუთარი კვლევების მიხედვით, ყველა პირველია...**

— არ არის პირველი. სანამ პრაიმერი ჩატარდებოდა, 10 დღის განმავლობაში ირაკლი ალასანია ლიდერობდა და მათივე პარტიის საიტებზე იდო ეს მონაცემები. ჩვენ ალასანიას ვუჭერთ მხარს, თუმცა მინდა აღვნიშნო, რომ „ჩვენში" „ქართულ აკადემიას" ვგულისხმობ და არა მთელ საზოგადოებას.

როცა არჩევნები მოახლოვდება, ყველა პარტიას უკვე ჩატარებული ექნება კვლევა. რას დადებენ საიტზე ერთია, მაგრამ რეალურად ხომ ეცოდინებათ, ვინ არის ყველაზე რეიტინგული. ეს ეხება ალასანიასაც. ასეთ დროს მათ ანგარიში უნდა გააკეთონ და გააანალიზონ, რა რისკზე მიდიან. ვისაც მეორე და მესამე ადგილი ექნებათ კვლევების საფუძველზე და არ მოხსნიან კანდიდატურას, არჩევნების შემდეგ საერთოდ პოლიტიკიდან მოუწევთ წასვლა. იმიტომ, რომ ისინი ხმებს გაუყოფენ პირველ ადგილზე გასულ ოპოზიციონერ კანდიდატს (ეს ეხება ჭეშმარიტ ოპოზიციას და არა ხელისუფლების სატელიტ ოპოზიციონერებსაც).

**— თქვენ გგონიათ, რომ ვინმე ამის გამო თავს დაიდანაშაულებს და პოლიტიკიდან წავა?**

— უნდა წავიდეს! როდესაც წინასწარ იცი საკუთარი რეიტინგი და საშუალებას არ აძლევ შენზე წინ მდგომ კანდიდატს, ეს არ არის პოლიტიკოსის პოლიტიკური ალღო და უნდა წავიდეს! აი, ამის რისკი რეალურად არსებობს.

**— რას ფიქრობთ ლევან გაჩეჩილაძეზე, რომელიც წინასაარჩევნოდ ყოველთვის ამოტივტივდება ხოლმე. რა როლი შეასრულა მან ოპოზიციაში, უფრო მეტად ხომ არ დაქსაქსა?**

— არ ვიცი, რა გითხრათ. ლევანს დიდი საარჩევნო გამოცდილება აქვს, თუმცა ამდენმა მერყეობამ, ამას ვიზამ, იმას ვიზამო, ცოტა დაგვაბნია. რიგით ჯარისკაცად დავდგებიო, ბევრჯერ უთქვამს და ასეც მოიქცა.

**— „ქართული აკადემიის" ნაწილი სახალხო კრების აქტიური მხარდამჭერია. გამოდის, რომ ერთნი არჩევნებს უჭერთ მხარს, მეორენი — კი ბოიკოტს ემხრობიან?**

— მინდა გითხრათ, რომ „ქართული აკადემია" იძულებით არის პოლიტიკაში. ჩვენს დეკლარაციაში პოლიტიკური არაფერია, ეს არის ქართული კულტურის შესანარჩუნებლად შექმნილი ორგანიზაცია. მაგრამ სახელმწიფომ ჩვენი არც ერთი წინადადება არ გაიზიარა.

რაც შეეხება სახალხო კრებას, თქვენ, ალბათ, გოგი ქავთარაძეს გულისხმობთ. ოფიციალურად ისინი არ აცხადებენ, რომ არჩევნების წინააღმდეგი არიან, არც ერთ დოკუმენტში ეს არ ჩანს, თუმცა, სამწუხაროდ, შეკრებების დროს ამბობენ, რომ ბოიკოტის იდეა მოსწონთ. ჩემი აზრით, ბოიკოტი მაინც არ გამოვა, თუნდაც იმიტომ, რომ ფსევდოოპოზიცია არის ქვეყანაში, ისინი საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებს ეცნობიან, როგორც ოპოზიცია, ამიტომ მათი მონაწილეობით გამართულ არჩევნებს დიპლომატიური კორპუსი და საერთაშორისო თანამეგობრობა მაინც ცნობს. ეს არ არგებს ცვლილებებს, რადგან არჩევნებს ხელისუფლება ყველა შემთხვევაში ჩაატარებს. თორემ რა, ჩვენ არ ვიცით, რა სახიფათოა ასეთი საარჩევნო კანონმდებლობითა და სიებით არჩევნებზე გასვლა?!

**— არჩევნების შემდეგი პერიოდი როგორ წარმოგიდგენიათ?**

— ბატონი ირაკლი და „ალიანსი"ამ პერიოდს განიხილავენ ეტაპად ძირეული ცვლილებებისთვის.

**— ირაკლი გამარჯვებისთვის ემზადება, მაგრამ ჩვენ მეორე ვარიანტსაც ნუ გამოვრიცხავთ — დამარცხებას. რა შეიძლება მოხდეს მაშინ?**

— ბრძოლაში, ბუნებრივია, გამარჯვებისთვის მიდის ადამიანი... მაგრამ, მოდით, გულზე ხელი დავიდოთ და ვთქვათ, თუ არჩევნები სამართლიანად ჩატარდება და ხალხი მხარს ხელისუფლებას დაუჭერს, მაშინ გამოდის, რომ ეს ნდომებია ჩვენს საზოგადოებას და ღმერთმა შეარგოს. ასეთ ვითარებაში, ვერავინ ვერ გამოიწვევს ვერავითარ არეულობას, უბრალოდ, ხალხი არ გამოვა ქუჩაში და იმიტომ. გაიხსენეთ ბოლო საპარლამენტო არჩევნები, როცა ხალხი ქუჩაში ნაკლები გამოვიდა, განსხვავებით საპრეზიდენტოსგან, როცა ლევან გაჩეჩილაძემ ფაქტობრივად მეორე ტური გააფორმა, ამის შემდეგ კი მას პრეზიდენტობა გარანტირებული ჰქონდა.

**— არ შემიძლია, არ გკითხოთ ეროვნულ საბჭოზე. რამდენად კარგი პოლიტიკური ალღო აღმოაჩნდათ ამ ლიდერებს და რას ფიქრობთ იქ ნოღაიდელის ყოფნასა და მის გადაწყვეტილებებზე?**

— ჩემი აზრით, ნოღაიდელს პოლიტიკაში ყოფნის უფლება აქვს, თუმცა რუსეთთან ასეთი სახის ურთიერთობის მომხრე არა ვარ. რუსეთთან ურთიერთობა ხელისუფლებამ უნდა აწარმოოს და არა ოპოზიციონერებმა.

**— თუმცა, რითი უშლის ხელს ასეთი კონტაქტები ამ ორ ქვეყანას შორის კავშირს?**

— არ ვიცი, რა გითხრათ. გააჩნია, რა პოზიციით მიდიხარ და რა გინდა. ალასანიაც და ხალხიც მიიჩნევენ, რომ თბილისსა და მოსკოვს შორის ვითარება უნდა დალაგდეს და გამოსწორდეს.

**— ძიძიგური და დავითაშვილი თვის ბოლოს გაემგზავრებიან, ალბათ, რუსეთში.**

— ჩავიდნენ, კი ბატონო, გააჩნია რას იტყვიან. თუმცა მტერთან ასეთი ჩახუტება მართებულად არ მიმაჩნია.

მაგრამ რა, ხელისუფლებაც ასეთი ჩახუტებული არ არის, მთელი სტრატეგიული ობიექტები რუსეთს არ ჩააბარა?! მარტო დეკლარირება არაფერს ნიშნავს. აგერ, ერთ-ერთი კანდიდატი რომ ამბობს, წყალს უფასოდ მივცემ ხალხსო, ვინ კითხავს, წყალს რუსეთი არ არის დაპატრონებული? ასე ხალხის მოტყუება არ შეიძლება. კი არ ვამართლებ ნოღაიდელს, მაგრამ ის მარტო სიტყვით არის რუსეთთან ჩახუტებული, ხოლო ხელისუფლება — საქმით.

**— როგორ ახსნით ხელისუფლების დუმილს და უმოქმედობას „მოღალატე" ნოღაიდელის მიმართ?**

— აბსოლუტურად გაუგებარია. ხელისუფლების წარმომადგენლები ამბობენ, რომ ნოღაიდელს რამდენიმე დიდი ბიზნესი აქვს; საარჩევნოდ პირდაპირ ტერორზე გადავიდნენ, წვრილ მეწარმეებს და ჯიხურებს აწერენ ფულს, ამ დროს კი ნოღაიდელი ხელშეუხებელია? არ ვიცი, პასუხი არა მაქვს, შეიძლება ამ კითხვის დასმით ვცოდავ კიდეც, მაგრამ მაინც...

**ესაუბრა**
**თეა მოსია**

არჩევნები

# რა მეთოდებით ემზადება ხელისუფლება გამარჯვებისთვის?

## ...ასეთი მოცულობის ტრანსფერტები თვითმმართველობებს აქამდე არც ღირსებიათ

**ხელისუფლებას ოფიციალურად ჯერ მერობის კანდიდატი არ დაუსახელებია. იქნება ეს კვლავ გიგი უგულავა, თუ ვინმე სხვა, ფაქტია, რომ ნაციონალთა გუნდი ოპოზიციისთვის თბილისის დათმობას არავითარ შემთხვევაში არ აპირებს. თუ როგორი მომზადებული ხვდება უმრავლესობა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს, ამის საილუსტრაციოდ კარგად გამოგვადგება „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს" კვლევები, სადაც დეტალურად არის შესწავლილი 2010 წლის ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების მაგალითები.**

ჩანს, რომ ადგილობრივი არჩევნების წინ სახელმწიფო ბიუჯეტში თვითმმართველობებისთვის გამოყოფილი თანხების უპრეცედენტო ზრდა აღინიშნება. რეგიონებისთვის გათვალისწინებული ტრანსფერტების საერთო მოცულობამ წინა წელთან შედარებით ერთი მესამედით მოიმატა. საგრძნობლად, 410 კაცით გაიზარდა თბილისის მერიის მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი და მხარის რწმუნებულთა აპარატში დასაქმებულთა რაოდენობა. ტრანსფერტის თანხა 214,4 მილიონი ლარია. ასეთი მოცულობის ტრანსფერტები თვითმმართველობებს მთელი არსებობის მანძილზე არ მიუღიათ. უპრეცედენტოა თბილისის წლევანდელი ბიუჯეტი, რომელიც 570,8 მილიონი ლარია კანონში მიმდინარე წლის თებერვალში შესული ცვლილებებით.

სხვა საქმეა, კარგია თუ ცუდია ეს, მაგრამ ფაქტია, რომ წინა წელთან შედარებით სოფლის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის დაფინანსება გაორმაგდა და 40 მილიონი ლარი თვითმმართველობებს გადაუნაწილდა. მაგრამ აქ ერთი საინტერესო დეტალია: მთავრობის განკარგულებით, სამუშაოები მაქსიმალურად მოკლე დროში უნდა შესრულდეს, რაც სავარაუდოდ მაისის არჩევნებამდე მოსწრებას უკავშირდება. 91 მილიონი ლარი გამოიყო შემდეგი სამუშაოებისათვის: გზების რეაბილიტაცია, გარე განათება, ტროტუარების მოწესრიგება, სკვერების, პარკების კეთილმოწყობა, წყლისა და კანალიზაციის, სახურავებისა და ლიფტების შეკეთება და სხვა ინფრასტრუქტურული ღონისძიებები.

თითოეულ სამხარეო ადმინისტრაციაში ორი ათეული საშტატო ერთეული დაამატეს და შეიქმნა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურები, თუმცა თვითმმართველობებს ასეთი სამსახურები უკვე ჰყავთ. ამავე დროს, რატომღაც მთავრობას სრულებით გადაავიწყდა თავისივე ინიციატივა „ქამრების შემოჭერის" შესახებ, რაც აპარატის შემცირებასაც გულისხმობდა.

მარტიდან თბილისის მერიის გადაწყვეტილებით, დედაქალაქში პენსია 10 ლარით გაიზარდა, რისთვისაც ბიუჯეტიდან 19,9 მილიონი ლარია გამოყოფილი, მაგრამ ეს ინიციატივა არ შეეხო რეგიონებს. საპენსიო პოლიტიკა კი თვითმმართველობის კომპეტენცია არ არის, ხოლო, მეორე მხრივ, ეს მეთოდი დისკრიმინაციულია. ამის გარდა, მერიამ პენსიონერებს 25-ლარიანი ვაუჩერი გადასცა მედიკამენტების შესაძენად და ამისთვის 4 მილიონი ლარი დაიხარჯა. აქ საყურადღებო ის არის, რომ ასეთი ვაუჩერები 2006 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის და 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების წინაც დარიგდა, მაგრამ არა 2007 ან 2009 წლებში.

**მოკლედ, თუნდაც ასეთი დივიდენდების მისაღებად, ალბათ, კარგიც კი არის საქართველოში ხშირი არჩევნები, მაგრამ ამ „ხრიკს" ისევ ხელისუფლებისთვის მოაქვს გამარჯვება, ვინაიდან მსგავსი რესურსები ოპოზიციას არ აქვს... ან იქნებ რომელიღაც პოლიტიკურ ძალას აქვს, მაგრამ ძუნწობს...**

**ნია ფიფია**

ⓞ ქარავანი კი...

# ზოოპარკის გადატანა ჯერ არ გადაწყვეტილა



**თბილისის ცენტრში მშენებარე ესტაკადა, რომელმაც გმირთა მოედანი და ვაკე-საბურთალოს ქუჩა ერთმანეთს უნდა დააკავშიროს და ამის საფუძველზე ჭავჭავაძის გამზირი და საბურთალოს მაგისტრალები ავტომობილებისგან განტვირთვოს, შესაშური სისწრაფით მიიწევს წინ. როგორც ამბობენ, ის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს გაიხსნება. ამიტომ არ არის გასაკვირი ის ტემპი, რომლითაც მშენებლობა მიმდინარეობს.**

ესტაკადის მშენებლობას თავიდანვე მოჰყვა აზრთა სხვადასხვაობა. ჯერ კიდევ 2009 წლის გაზაფხულზე, როდესაც პროექტი იდეის დონეზე არსებობდა, მზიურის ტერიტორიაზე გაიმართა სხვადასხვა პოლიტიკური პარტიებისა და გარემოს დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციების საპროტესტო აქციები ვაკის მოსახლეობასთან ერთად. ისინი ამბობდნენ, რომ დაგეგმილი მშენებლობა გამოიწვევდა ვერეს ხეობის მცენარეული საფარის გაჩეხვას და მზიურის, როგორც დასასვენებელი ზონის, ქალაქის „ფილტვების“ განადგურებას. მერიაში კი განაცხადეს, რომ მზიურს არ შეეხებიან, პირიქით, გზის მშენებლობის დროს გასუფთავდება დაბინძურებული ვერეს ხეობაო.

მზიურის გაუქმების ეჭვი განსაკუთრებით მას შემდეგ გაძლიერდა, რაც იქიდან ნოდარ დუმბაძის ცხედარი მთაწმინდის პანთეონში გადაასვენეს. პარალელურად თბილისის 40-მდე პარკს მოეხსნა რეკრეაციული ზონის სტატუსი, რამაც ცეცხლზე ნავთი დაასხა. თბილისის მერიას კულტურული მემკვიდრეობის შესახებ კანონის უხეშად დარღვევასა და სათავისოდ გამოყენებაში ადანაშაულებენ. კანონში წერია: **„კულტურული მემკვიდრეობაა ასევე ბაღები, პარკები, ლანდშაფტური არქიტექტურის ობიექტები. თუ ფიზიკური ან იურიდიული პირი გამოავლენს ან აღმოაჩენს კულტურულ მემკვიდრეობას, ან ამის შესახებ გაუჩნდება საფუძვლიანი ვარაუდი ისეთი საქმიანობის პერიოდში, რომლის გაგრძელებამაც შეიძლება დააზიანოს, გაანადგუროს ან ამის საფრთხე შეუქმნას მას, საქმიანობის მწარმოებელი პირი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეწყვიტოს აღნიშნული საქმიანობა“** (მუხლი 10, პ. 1); **„ფიზიკური ან იურიდიული პირი ვალდებული არიან სამინისტროსა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სხვა სახელმწიფო ორგანოებს, დაუყოვნებლივ მიაწოდონ ინფორმაცია კულტურული მემკვიდრეობის აღმოჩენის, გამოვლენის ან კულტურული მემკვიდრეობისთვის საფრთხის შემცველი გარემოების არსებობის შესახებ“** (მუხლი 9. პ №1) პუნქტი „ზ“).

ბევრი ინფორმაციაც მიაწოდეს და საჩივარიც დაწერეს, მაგრამ მაინც არაფერი გამოვიდა. „ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის“.

ახალი ესტაკადა გვერდით გაუვლის თბილისის ზოოპარკს, რომელიც დედაქალაქელთა ერთ-ერთი საყვარელი დასასვენებელი ადგილია და მანქანების ხმაური და მტვერი, გამონაბოლქვი, რაც გზის ბუნებრივი თანმდევია, დისკომფორტს ნამდვილად შექმნის.

გზის მშენებლობის დაწყებისთანავე გამოითქვა მოსაზრება, რომ ზოოპარკი თბილისის ზღვაზე გადავიდოდა, რადგან გმირთა მოედნის ახალი მოწყობა მსგავსი ტიპის დაწესებულებას ვერ შეითავსებდა. ინფორმაციის დასაზუსტებლად ზოოპარკის დირექციას მივმართეთ. შეკითხვებზე დირექტორის მოადგილემ დავით თაქთაქიშვილმა გვიპასუხა:

**— ბატონო დავით, მართლა გადადის თუ არა ზოოპარკი თბილისის ზღვაზე?**

— ეს ჯერ გადაწყვეტილი არ არის, მიმდინარეობს მსჯელობა თბილისის მერიაში და არ ვიცით, საბოლოოდ რა გადაწყვეტილებას მიიღებენ.

**— დაეთანხმებით მსგავს გადაწყვეტილებას?**

— თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორია ზოოპარკისთვის იდეალური გარემოა, უბრალოდ იქ შესაბამისი ინფრასტრუქტურის მეტად განვითარება იქნება საჭირო, რაც დროის ამბავია, თუმცა კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ზოოპარკის გადატანის საკითხი არც თბილისის ზღვაზე და არც სადმე სხვაგან მიღებული არ არის.

**— თუ ზოოპარკს არ გადაიტანენ, შეგიქმნით ახალი ესტაკადა პრობლემას?**

— ესტაკადა ზოოპარკზე არ გაივლის, მაგრამ ასე თუ ვიმსჯელებთ, გმირთა მოედანიც გადატვირთულია ავტომობილებით, საშინელი მტვერი და ხმაურია, თბილისში ზოოპარკი 1927 წელს აშენდა, მაშინ ეს ტერიტორია გარეუბანი იყო და შესაბამისად ცხოველების დასაბინავებლად იდეალური ადგილი. მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა დედაქალაქის ცხოვრებაში. საერთოდ არც ერთ ქალაქში ზოოპარკი ცენტრში არ არის განთავსებული.

ესტაკადა აშენდება და მალე ქალაქის ცხოვრების ყოველდღიურობად იქცევა. ისე შევეჩვევით, პროტესტის გრძნობა კი არ გაგვიჩნდება, ალბათ იმასაც ვიტყვით უამისოდ როგორ ვიყავითო. მაგრამ რის ხარჯზე? ვერეს ხეობის, მზიურის და ზოოპარკის მწვანე საფარის განადგურების? როდესაც ზოოპარკიდან გამოხვალთ და ვარაზის ხევს აუყვებით, დაინახავთ, უკვე გამზადებულ მონაკვეთს, ვოლიერებს ზედ რომ ებჯინება და მაშინვე მიხვდებით, რა დღეში ჩაცვივდებიან ზოოპარკის ბინადრები. ასეთ გარემოში ცხოვრებას, მართლა სჯობს ზოოპარკი თბილისის ზღვაზე გადავიდეს, მაგრამ აქაც ჩნდება პრობლემა, როგორიც არის სიშორე, მისვლის სიძნელე... თანაც ილუპება თბილისის „ფილტვები“...

პროტესტი დღესაც უხვად გამოითქმის: თბილისის მერობის კანდიდატები რიგრიგობით მართავენ აქციებს გმირთა მოედანზე, იმის მიუხედავად, რომ იციან, უკვე აშენებულს არავინ დაანგრევს. თანაც, კიდევ ერთი წარმატებული პროექტის გახსნის სიამოვნებას, მით უმეტეს არჩევნებამდე ოთხი დღით ადრე, არც პრეზიდენტი და არც სახელისუფლებო მერობის კანდიდატი (სავარაუდოდ გიგი უგულავა) არ მოიკლებენ.

ასე რომ, გზა შენდება, ქარავანი მიდის...

**ანა წიწილაშვილი**



ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო

ⓞ ბანკი



***საქართველოს საბანკო სექტორს 300 ათასამდე მევალე ჰყავს, რომელთაც აღებული კრედიტების დაფარვაში ხელი მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა და 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომმა შეუშალა. ზოგიერთი პოლიტიკური პარტია და დამოუკიდებელი ექსპერტები იმთავითვე მიუთითებდნენ, რომ ეს პრობლემა სახელმწიფოს უშუალო ჩარევით უნდა გადაწყვეტილიყო. კერძოდ, მსესხებლებს ვალის დაფარვაში სწორედ ეს უკანასკნელი დახმარებოდა. მოგვიანებით, მოვალეთა რეესტრის შექმნის შემდეგ, ექსპერტთა ნაწილმა მიიჩნია, რომ იგი მსესხებლებზე ზეწოლის მიზნით ჩამოყალიბდა და ამ საკითხის გადაჭრას სახელმწიფო ვალის რესტრუქტურიზაციის გზითაც შეძლებდა. რამდენად მართებულია მსგავსი მოსაზრებები და, რეალურად, როგორი იქნება 300 ათასი მსესხებლის ბედი მომავალში? ამ და სხვა საკითხებზე „მედიანიუსი“ საბანკო ასოციაციის პრეზიდენტს ზურაბ გვასალიას ესაუბრა.***

# ვადაგადაცილებული ვალი მთელი საბანკო სექტორის საკრედიტო პორტფელის 5 პროცენტს არ აჭარბებს

— უპირველესად, 300 000 მსესხებელი ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოსდა, ზუსტად ამდენ მსესხებელზეა ლაპარაკი. სესხის სახიდან გამომდინარე, ერთი მსესხებელი იმ სიაში, შესაძლოა, ხუთჯერაც კი იყოს მოხვედრილი. ამასთან, სიაში ბევრი ისეთი პირია შესული, ვინც მსესხებელს თავდებად დაუდგა, ვინც ამა თუ იმ მსესხებელთან სოლიდარული პასუხისმგებლობით ურთიერთობდა. არიან ისეთებიც, რომელთაც ვალი დაფარეს, მაგრამ სიაში მაინც რჩებიან. საბანკო სექტორმა თითოეული ასეთი პირის საქმის ინდივიდუალურად შესწავლის გადაწყვეტილება მიიღო. თუ საქმის შესწავლისას ობიექტური მიზეზები მსესხებლის სასარგებლოდ გამოიკვეთება, მას შემდგომში კრედიტის აღებისას ხელი არ შეეშლება. თუკი მევალეები ისეთ წინადადებებს წარმოადგენენ, რაც მათ სესხის დაფარვაში დაეხმარება, საბანკო სექტორი მათ მხარში დაუდგება. საბანკო სექტორი თავად არის დაინტერესებული, რომ მსესხებელმა თავიანთი თავის რეაბილიტაცია მოახდინონ, რათა ვალის დაფარვა საკუთარი ბიზნესითვე შეძლონ.

აღსანიშნავია, რომ ხსენებული ვალი მთელი საბანკო სექტორის საკრედიტო პორტფელის 5-5, 5 პროცენტს არ სცილდება მაშინ, როცა ისეთ დიდ ქვეყანაში, როგორიც, მაგალითად, რუსეთია, ამ მაჩვენებელმა თითქმის 20 პროცენტს მიაღწია. ამიტომ ჩვენ ამ საკითხში ტრაგედიას არ უნდა ვხედავდეთ.

**— ბატონო ზურაბ, საზოგადოების გარკვეულ წრეებში გამოითქვა საყვედური, რომ თავის დროზე საბანკო სექტორმა აღნიშნული კრედიტი დიდი რაოდენობით შეგნებულად გასცა, რათა შემდგომ მსესხებლებზე ზეწოლა მოეხდინა...**

— ადრე ამბობდნენ, საბანკო სესხები რთული მისაწვდომიაო, ახლა კი — ამდენი სესხი რატომ გასცესო... ზემოთ გამოთქმული მოსაზრება არასწორია, რადგან ბანკის ინტერესი არ არის ამ ადამიანების მიერ ჩადებული გარანტიებით მანიპულირება. ამასთან, აღნიშნული სესხების დიდი ნაწილი არაუზრუნველყოფილი სესხია და რა წინასწარი ინტერესი უნდა ჰქონოდა ბანკს მისი გაცემისას? ბანკის მთავარი პროდუქტი არის ფული. ფულის დაბანდება იმისათვის, რომ შემდეგ ბანკმა რაღაც ქონება დაისაკუთროს, სრული უაზრობაა. ეს საბანკო სექტორსაც აზარალებს.

**— ექსპერტთა ნაწილი საბანკო დავალიანების მქონე პირთა საკითხის მოგვარებაში სახელმწიფოს კეთილ ნებას მნიშვნელოვან ფაქტორად მიიჩნევს. კერძოდ, მათი მოსაზრებით, სახელმწიფოს ვალის რესტრუქტურიზაცია უნდა მოეხდინა...**

— ორ კერძო სუბიექტს შორის არსებული ურთიერთობისას სახელმწიფომ ვალის რესტრუქტურიზაცია როგორ უნდა მოახდინოს? რესტრუქტურიზაცია საბანკო სექტორმა უნდა განახორციელოს და, საკმაოდ დიდი ხანია ახორციელებს კიდეც. თუმცა, მას აზრი მხოლოდ მაშინ აქვს, თუკი ხედავ, რომ რესტრუქტურიზაცია შენს მსესხებელს ვალის ეტაპობრივად დაფარვაში ხელს შეუწყობს. წინააღმდეგ შემთხვევაში, რესტრუქტურიზაცია მსესხებელს უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩააგდებს.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ კონფლიქტის ზონებში, სადაც საყოფაცხოვრებო სესხების ჩამოწერის საშუალება და ობიექტური მიზეზი არსებობდა, ბანკებმა მსესხებლებს სათანადო ვალი პირდაპირ ჩამოაწერეს. ეს კი საკმაოდ სოლიდური თანხაა.

ⓞ ინფორმაცია

## უკრაინა სუამის დატოვებას არ აპირებს

**საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის დავით ჯალაღანიას განცხადებით, უკრაინა სუამის დატოვებას არ აპირებს.**

**„უკრაინა ამჟამად სუამის თავმჯდომარე ქვეყანაა და შემიძლია დაზუსტებით გითხრათ, რომ ის სუამის დატოვებას არ აპირებს. რაც შეეხება სუამის ქვეყნების სამიტის და სხვა შეხვედრების შეფერხებას, ეს მხოლოდ დროის ფაქტორითაა გამოწვეული, რადგან უკრაინაში ხელისუფლების ცვლილება მოხდა და ამის გამო შეხვედრები დროში ვერ ჩაეტია“, - განმარტა ჯალაღანიამ.**

**მისივე თქმით, სუამის ფორმატს საფრთხე არ ემუქრება და მასში შემავალი ქვეყნების, უკრაინის ჩათვლით მხოლოდ მის გაფართოებაზე ზრუნავენ.**

**შეგახსენებთ, რომ რუსული მედიის საშუალებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ უკრაინა სუამის დატოვებას გეგმავდა.**

ჯი-ეიჩ-ენი

მშიერი ეკონომიკა

# ქვეყანა ვალებით იძეძგება, ხელისუფლება – კორუფციული შემოსავლებით

## რაში იხარჯება უცხოეთში ნასესხები მილიარდები?

**რაში, ჩემო ბატონო, და ქვეყნის აღმშენებლობაშიო, ისეთი დარწმუნებით გიპასუხებენ სახელისუფლებო ელიტის თავკაცები, რომ უხერხულობისგან თვალსაც არ დაახამხამებენ. თუ განცვიფრება შეგატყვეს, იქვე დაამატებენ, ხომ არ დაგავიწყდათ, ჩვენს მოსვლამდე სიბნელეში რომ ისხედით სიცივითა და შიმშილით ახავხავებულებიო. აბა ახლა გაიხედეთ რა ხდება თქვენს ირგვლივ, ეკონომიკაც ავაყვავეთ, ავტობანებიც გავიყვანეთ და, როგორც იქნა, ქვეყანა ქვეყანას დავამსგავსეთო.**

მაგრამ მათ მიერ ნახოტბევი იგივე ქვეყანა რომ უმუშევრებითა და ღატაკებით არის გაძეძგილი, ამაზე ვინ უნდა აგოს პასუხი? როგორ ხდება, რომ „ნაცების“ მიერ აყვავებული ქვეყანა, საზოგადოების დიდ ნაწილს უფრო დანგრეულად ეჩვენება, ვიდრე აშენებულად? წარმოიდგინეთ, ისეთ საყოველთაოდ აღიარებულ მწერალსაც კი, როგორიც ოტია იოსელიანი გახლავთ. „**რომ გამოდიხარ და მეუბნები, ვაშენებ ქვეყანასო,** — კითხულობს მწერალი, — **კი მაგრამ მე ისეთი შტერი ვარ, ვერ დევინახე ეს აშენებული ქვეყანა? ამაზე მეტი შეურაცხყოფა რაღა გინდა?“**

ვერ გეტყვით, მწერლის სამართლიან გულისწყრომას ხელისუფლება გამოეხმაურება თუ არა (მას, უბრალოდ, ასეთი რამ არა სჩვევიაძ, მაგრამ საზოგადოების უდიდესი ნაწილის კითხვას — რაში შემოეხარჯა მთავრობას უცხოეთში ვალად აღებული მილიარდები? — ხომ მაინც უნდა უპასუხოს! არადა, ფაქტია, ხელისუფალთა თავაშვებულობითა და ჩიტირეკიობით ნასაზრდოები საგარეო ვალების მოცულობა დღითი დღე იზრდება და საქართველოს ეკონომიკური გაკოტრებით (დეფოლტითძ ემუქრება. ვალებმა განსაკუთრებით 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ იმატა. ყველაზე მეტი მსოფლიო ბანკისა გვმართებს — თითქმის 2 მილიარდი ლარი, შემდეგ მოდის საერთაშორისო სავალუტო ფონდი, რომლისგანაც საბიუჯეტო დეფიციტის დასაფარად და სავალუტო რეზერვების შესავსებად მთავრობას 1,48 მილიარდი ლარი აქვს ნასესხები. აქვე უნდა გავიხსენოთ, ალბათ, უცხოეთის ბაზრებიდან ევროობლიგაციების მეშვეობით ნასესხები თანხები, რომელთა რაოდენობამ უკვე 870 მილიონ ლარს გადააჭარბა და ისიც, როგორი ენთუზიაზმით სტენიდა (ბოდიშს ვიხდი ამ გამოთქმისთვისძ ქვეყანას მაშინდელი პრემიერ-მინისტრი ლადო გურგენიძე 500 მილიონი ლარის ობლიგაციებს, რომელიც უცხოურმა საინვესტიციო ფონდებმა შეიძინეს.

აღარაფერს ვამბობ იმ ენთუზიაზმზე, რომლის მეშვეობითაც საქართველოს მოსახლეობას (და არა დღევანდელ ხელისუფლებასძ დასახელებულ ვალებთან ერთად, გერმანიიდან, რუსეთიდან და რიგი სხვა ქვეყნებიდან აღებული ვალების გასტუმრებაც მოუწევს. როგორც რუსული გაზეთი „ვზგლიადი“ იუწყება, **„საქართველოს ეროვნული ბანკის თანახმად, ქვეყნის საგარეო ვალმა მშპ-ს 80,3 პროცენტს, ანუ 8,6 მილიარდ დოლარს მიაღწია და პროცენტულად წელიწადში ვალების გადახდას 800 მილიონი დოლარი სჭირდება. საქართველოს ასეთი ფული არა აქვს და მას ასეთ თანხას არც არავინ მისცემს“.**

არაო, თავს იმართლებენ საქართველოს მთავრობაში, რუსულ პრესაში აღებული იყო ქვეყნის მთლიანი ვალი, რომელიც მოიცავს როგორც სახელმწიფო ვალს, ასევე კერძო სექტორისა და ცალკეულ კომპანიებს შორის არსებულ ვალებსო. საქართველოს საგარეო ვალი მართალია სულ უფრო იზრდება და უკვე 3,5 მილიარდ დოლარს აჭარბებს, მაგრამ ის არ აღემატება სხვა განვითარებადი ქვეყნების ვალებს და არც რაიმე საშიშროებას გვიქადისო.

ვთქვათ, დავიჯერეთ, რომ ასეა და გულიც დავიარხეინეთ, მაგრამ მაინც გაუგებარია, იმ კითხვაზე (რაში შემოეხარჯათ ნასესხები მილიონებიძ, რომელიც ზემოთ დავსვით, პასუხის გაცემას რატომ გაურბიან? არა, ისე ზოგადად, „გარდიგარდმოდ“, კი ამბობენ ფული მშენებლობის, გზების, ხიდების, შენობა-ნაგებობების, ანუ ინფრასტრუქტურის განვითარებას მოხმარდაო, მაგრამ ეს ხალხში ეჭვის თესლს იმის თაობაზე, რომ „ქვეყნის აღმშენებლობიდან“ მიღებული შემოსავლების წილი ისევ ხელისუფლების ჯიბეში მიდის, არა თუ აქრობს, კიდევ უფრო აღვივებს.

ამის დასტურად ამ პატარა საგაზეთო მასალაში ყველა ფაქტს სად გამოვეკიდებით, მაგრამ საქმის არსში სიცხადის შესატანად, ვფიქრობთ, მტკვარზე მშენებარე ეგრეთ წოდებული „შუშის ხიდიც“ იკმარებს. რა ხდება, რით შეიძლება ავხსნათ, რომ ამ ხიდის მშენებლობის შესახებ არც ტენდერი გამოცხადებულა და არც პროექტის შემსრულებელი კომპანიაა გაცხადებული საზოგადოებისთვის. თუ ესენი ჯვარსა და ხატზე დამფიცებელი ხალხია, რატომ მალავენ და ჩქმალავენ, ღიად და საჯაროდ არ აცხადებენ, რამდენი ჯდება ხიდის მშენებლობა? რატომ უნდა დავუჯეროთ ოპოზიციონერ ირაკლი ალასანიას (ხომ შეიძლება თანხას აზვიადებდესძ, რომ ამ „პეპელა ხიდის“ აგებას 30 მილიონ ლარზე მეტი ხმარდება? რახან მალავენ, ბუნებრივად ჩნდება ეჭვი, რომ ამ მშენებლობით, რომელზეც ხალხის კისრიდან ამოღებული თანხები იხარჯება, ვიღაც-ვიღაცები (უფრო სწორად, ხელისუფლებიდან მსხვილ-მსხვილი ფიგურებიძ ხელს ითბობენ და ხელთან ერთად ჯიბესაც ისქელებენ.



როგორც სარწმუნო წყაროებით ირკვევა, ხიდის მშენებლობის ხარჯები არ არის გათვალისწინებული თბილისის მერიის ბიუჯეტში, არავინ იცის, რამდენი იხარჯება. არადა ვის აქვს ამის უფლება, ეს ხომ ჩვენი მოსახლეობის ფულია, რომელსაც ისინი ბიუჯეტში იხდიან. საერთოდ, გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ სახელმწიფო რისკავს ამხელა საგარეო ვალის აღებას და არ აქვს მომზადებული მიღებული თანხით განსახორციელებელი პროექტები, თუნდაც ზოგადი ხარჯთაღრიცხვით. არც იმაზე ფიქრობს ვინმე, საგარეო ვალს, თავისი პროცენტით, უკან დაბრუნება რომ უნდა, რაც შესაძლებელია ეკონომიკის განვითარებაში დახარჯული თანხით და არა ინფრასტრუქტურის მშენებლობით.

აქედან გამომდინარე, არც თუ შემთხვევით, ბევრს უჩნდება კითხვა: რატომ მიიწევს ეკონომიკააყვავებული და დემოკრატიული რეფორმებით განებივრებული საქართველო ევროპისკენ გაუკუღმართებული ნაბიჯებით? იმიტომ ხომ არა, რომ ქართველმა „ნაცებმა“ ქვეყანაში ეკონომიკასთან და დემოკრატიასთან ერთად კორუფციაც ააყვავეს? სააკაშვილი კი იფიცება, კორუფცია საქართველოში ფესვებიდან ისე ამოვთხარე, ცოცხალი თავით მზის სხივს ვეღარ იხილავსო, მაგრამ ხომ შეიძლება ამდენ სიმართლეში, რასაც ის ლაპარაკობს, ერთი ტყუილი მაინც გამოერიოს? რა იცი, სააკაშვილი იმ რანგის პოლიტიკოსია, რომლისგანაც არაფერი არ უნდა გაგვიკვირდეს.

**ოთარ ხუციშვილი**

SOS!

# უცოდინარობა თუ უპასუხისმგებლობა?

## ცხოველთა ვაქცინაცია გაზაფხულზეც არ ჩატარდა, დაავადებების შემთხვევები და დანაკარგები კი მატულობს

**საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ბრუცელოზის რამდენიმე შემთხვევა დაფიქსირდა. „ჯი-ეიჩ-ენის“ ინფორმაციით, ბოლო დღეების განმავლობაში ბრუცელოზის შემთხვევები გამოვლინდა მცხეთაში, საგარეჯოში, ოზურგეთში, თიანეთსა და სხვა რაიონებში, ცოტათი ადრე კი მსგავსი შემთხვევა ხობში, სამტრედიასა და სხვაგანაც იყო.**

„სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სამსახურს“ ამაზე ოფიციალური ინფორმაცია არ გაუვრცელებია და მოსახლეობა დაავადების რისკებთან დაკავშირებით არ გაუფრთხილებია.

მეტიც, ამ დრომდე ცხოველთა საგეგმო ვაქცინაციაც არ ჩატარებულა.

ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სოფლის მეურნეობათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი თენგიზ ყურაშვილი აცხადებს, რომ სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სამსახურის მიერ დეკემბერში ჩატარებული ვაქცინაცია არაკვალიფიციურობის დადასტურებაა.

„ვინც ეს დაგეგმა, იმას ვეტერინარიასთან, ალბათ, საერთოდ შეხება არ აქვს. თუ ეს იდეა ხელმძღვანელობიდან მოდის, მით უმეტეს, უარესი და დამღუპველია ქვეყნისთვის. როგორ შეიძლება, რომ ვაქცინაციის პროცესი ივნისსა და დეკემბერში დაიგეგმოს, როცა ყველგან ადრე გაზაფხულსა და შემოდგომაზე ტარდება,“ — განუცხადა „ჯი-ეიჩ-ენს“ ყურაშვილმა.



იგი განმარტავს, რომ გაზაფხულზე, როდესაც ცხოველი ბაგური შენახვიდან საძოვრულზე გადადის, ანუ საძოვარზე გასვლისას, იგი უკვე იმუნური უნდა იყოს, რათა გარემოში მოხვედრის შემდეგ არ დაავადდეს.

„პრაქტიკულად, ახლა და აპრილის ბოლომდე ვაქცინაციის პროცესი უკვე დასრულებული უნდა იყოს. შემოდგომაზე პირიქით ხდება, ანუ საძოვრიდან ბაგურ შენახვაზე გადასვლის პროცესი მიმდინარეობს, რაც ნიშნავს იმას, რომ ვაქცინაცია ოქტომბერში უნდა დაიწყოს და ნოემბერში დასრულდეს. რა აზრი აქვს დეკემბერში საქონლის აცრას, როცა ამ დროს საქონელი უკვე ორი თვეა სადგომშია შესული? ვინც ეს დაგეგმა, ხაზს ვუსვამ, იგი ვეტერინარიისგან ძალიან შორსაა და თუ ამ იდეის ავტორი ჩემი რომელიმე კოლეგაა, მე მრცხვენია მის მაგივრად“, — აცხადებს აკადემიკოსი.

მისი თქმით, როცა რეფორმა ტარდებოდა და სურსათის უვნებლობის შესახებ კანონს იღებდნენ, მთავრობის მესვეურებმა პირობა დადეს, რომ ვეტერინარიის სამსახურის სათავეში ყოველთვის სპეციალისტი იქნებოდა — ვეტერინარი ექიმი, ან მცენარეთა დაცვის სპეციალისტი.

„მე პიროვნულად არანაირი პრეტენზია არ მაქვს არც ქალბატონ მაია მეტრეველთან და არც მის მოადგილეებთან, მაგრამ არც ერთი მათგანი არ არის აღნიშნული დარგების სპეციალისტი. როგორ შეიძლება, მენეჯმენტი მართოს ადამიანმა, რომელმაც ვეტერინარიის დარგი არ იცის?“ — განუცხადა „ჯი-ეიჩ-ენს“ თენგიზ ყურაშვილმა.

სპეციალისტი აცხადებს, რომ ვეტერინარია სპეციფიკური დარგია, დაკავშირებულია მრავალ სხვადასხვა გარემოებასთან, რომლებიც ზოგ შემთხვევაში ერთმანეთს გამორიცხავენ, ზოგჯერ კი ავსებენ.

„როცა ადამიანი ამ დარგის სპეციალისტი არ არის, მისთვის ძნელია ამ ფაქტორების გარჩევა. ხშირად მესმის, რომ ევროპასა და ამერიკას უნდა მივბაძოთ. აშშ-ის მეცხოველეობის დონე და გაძღოლის პრინციპები სრულიად განსხვავდება იმისგან, რაც საქართველოშია. სპეციალისტმა ეს განსხვავებები უნდა იცოდეს და შესაბამისი დასკვნებიც უნდა გააკეთოს“, — განუცხადა „ჯი-ეიჩ-ენს“ აკადემიკოსმა.

„ჯი-ეიჩ-ენი“ უკვე წერდა იმის შესახებ, რომ შარშან სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სამსახურმა“ ვაქცინაცია აბსოლუტურად მიუღებელ ვადაში — დეკემბერში ჩაატარა, როდესაც ვაქცინას არავითარი ეფექტურობა არ გააჩნია. სამსახურის უფროსის მოადგილემ ზურაბ ბეჟანიშვილმა „ჯი-ეიჩ-ენს“ დაუდასტურა, რომ აცრები დეკემბრის შუა რიცხვებში ჩატარდა, თუმცა აღნიშნა, რომ ეს არანაირი დარღვევა არ იყო და განმარტა, „დეკემბერში აცრების ჩატარება დასაშვები და შესაძლებელი იყო“.

**საინტერესოა, ნუთუ არ იციან შესაბამისმა სტრუქტურებმა, რომ ქვეყანაში ცხოველთა დაავადებების გავრცელებით მცირდება მათი სულადობა და ხარისხი, რომ ცხოველთა ინფექციურ დაავადებებს, გარდა იმისა, რომ საშიშია ადამიანის ჯანმრთელობისთვის, კატასტროფამდე მიჰყავს ეკონომიკა და იკარგება მეცხოველეობის დიდძალი ძვირადღირებული ნედლეული? ამას ემატება ისიც, რომ საქართველო გეოგრაფიული მდებარეობით ეპიზოოტიური რისკის ზონაშია.**

**ამ დროს კი უცოდინარობაც და უპასუხისმგებლობაც ერთნაირად საზარალო და მიუღებელია!**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე



# სააკაშვილი ოტუმბაევას ნებისმიერ მხარდაჭერას დაჰპირდა

**საქართველოს მეთაური მიხეილ სააკაშვილი ტელეფონით ესაუბრა ყირგიზეთის დროებითი მთავრობის ხელმძღვანელს როზა ოტუმბაევას. საუბრის დროს სააკაშვილი ყირგიზეთის მთავრობის ხელმძღვანელს დაჰპირდა ყოველმხრივ მხარდაჭერას ყველა საკითხში, იტყობინება „გაზეტა. რუ“.**

როზა ოტუმბაევამ მადლობა გადაუხადა საქართველოს პრეზიდენტს ჰუმანიტარული დახმარებისთვის, რაც საქართველომ ყირგიზეთს გაუგზავნა.

შეგახსენებთ, რომ ამას წინათ საქართველოში ყირგიზული მოვლენების შესაძლო განმეორების შესახებ განაცხადა ქვეყნის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, ამჟამად აქტიურმა ოპოზიციონერმა ზურაბ ნოღაიდელმა საპროტესტო აქციის დროს ხელისუფლების წინააღმდეგ. საქართველოს ლეიბორისტთა ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა აგრეთვე ამას წინათ მოუწოდა საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს გადადგეს, რათა ქვეყანაში არ განმეორდეს ყირგიზული სცენარი.

საქართველოს ოპოზიციის საპროტესტო აქციების გააქტიურებას ექსპერტები უკავშირებენ ქვეყანაში მომავალ ადგილობრივ არჩევნებს — არჩევნები უნდა გაიმართოს საქართველოში 30 მაისს. ამავე დროს მოხდება ქალაქ თბილისის მერის პირდაპირი არჩევნები.

РОСБАЛТ



# ქართული პასუხი ორტეგასა და ჩავესს

**საქართველო ცდილობს ლათინური ამერიკის ქვეყნების მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების გაგრძელების შეჩერებას. აპრილის ბოლო ათი დღის განმავლობაში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დელეგაცია მინისტრის მოადგილის ალექსანდრე ნალბანდოვის ხელმძღვანელობით ეკვადორსა და ბოლივიაში გამართავს კონსულტაციებს**

ჩვენთან ინტერვიუში დიპლომატი არ უკავშირებს ამ ვიზიტს პირდაპირ აფხაზურ და სამხრეთოსეთურ პრობლემებს: „ჩვენ მეგობრებს ვეძებთ ყველგან, წელს კი, პირველად ამ კონტინენტზე, — ბრაზილიაში გავხსნით საელჩოს“.

მაგრამ მარტის ბოლოს — აპრილის დასაწყისში აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მაქსიმ ღვინჯილიამ მოიხსენია ეკვადორი და ბოლივია იმ ქვეყნების რიცხვში, რომლებიც მალე მიბაძავენ რუსეთის, ნიკარაგუას, ვენესუელისა და ნაურუს რესპუბლიკის მაგალითს, რომლებმაც აღიარეს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა. იმ დღეებში აფხაზეთის დელეგაცია იმყოფებოდა ვენესუელაში, არგენტინაში, ჩილეში, ბოლივიასა და ეკვადორში, ცდილობდა ამ სახელმწიფოების გადმობირებას თბილისის გვერდის ავლით. მალე კი აფხაზეთის პრეზიდენტი სერგეი ბაღაფში გაემგზავრება ლათინურ ამერიკაში და ტურნეს დაიწყებს ნიკარაგუადან. ამ ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი სამუელ სანტოს ლოპესი ამ დღეებში იმყოფებოდა სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში, ხელი მოაწერა დოკუმენტებს ურთიერთაღიარებისა და დიპლომატიური კონტაქტების დამყარების შესახებ.

„საერთაშორისო სამართლისთვის აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან ასეთი კონტაქტები არაფერს ნიშნავს, — განაცხადა ქართველმა დიპლომატმა ალექსანდრე ნალბანდოვმა. — ეს არის მხოლოდ მარიონეტული რეჟიმების ლეგიტიმაციის მცდელობა“. შარშან შემოდგომაზე საქართველომ კოსტა-რიკასა და კუბაში გამართა „წინმსწრები“ პოლიტიკური კონსულტაციები.

საქართველოს ვიცე-პრემიერმა, რეინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრმა თემურ იაკობაშვილმა გვაცნობა, რომ 21 აპრილს ლონდონში ის აპირებს მოახდინოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხის მოწესრიგებასთან დაკავშირებით სტრატეგიის პრეზენტაცია, რაც შეეხება ამ რეგიონების მიერთებას თანამშრომლობის გზით. ეს დოკუმენტები ორიენტირებულია ეკონომიკასა და სხვა სფეროებში ერთობლივ პროექტებზე. მართალია, სოხუმმა და ცხინვალმა ეს წინადადება უარყო, მაგრამ თბილისი არ ცხრება და ეძებს მხარდაჭერას დონორებისგან. მაისში პრეზენტაცია ანკარაში გაიმართება. სტრატეგიას წარადგენენ აგრეთვე ვაშინგტონში, პარიზსა და ბერლინში, აგრეთვე ნატოს, ეუთოს, გაეროს, ევროსაბჭოსა და ევროკავშირის შტაბბინებში. ივლისში მზად იქნება მისი განხორციელების სამუშაო გეგმაც.

მიხეილ ვიგნანსკი

ВРЕМЯ НОВОСТЕЙ

## დედამიწის ზურგზე



**ჩხუბები და დარბევანი ბიშკეკის მახლობლად. აგრესიული ბრბო ანტირუსული ლოზუნგებით დედაქალაქის ცენტრისკენ მიდის**

ჯოხებითა და ჩირაღდნებით შეიარაღებული დაახლოებით ათასი კაცი სოფელ მაიოვკიდან მიეშურება ყირგიზეთის დედაქალაქისკენ. გზად მომიტინგეებმა გადაწვეს სამართალდაცვის ორგანოების რამდენიმე მანქანა. მოვლენათა მოწმეების სიტყვებით, ბრბო მეტად აგრესიულადაა განწყობილი.

* * *

**ლიტვაში დაკავებული ისლამისტი ქალი შეიძლება ყოფილიყო მესამე თვითმკვლელი, რომელმაც ვერ მოასწრო მოსკოვის მეტროში აფეთქება**




დაკავებულის ბარგში აღმოაჩინეს მოსკოვის მეტროპოლიტენის რუკები, აგრეთვე სქემები და ინსტრუქციები ასაფეთქებელი მოწყობილობების გამოსაყენებლად. ჯერ კიდევ 2007 წელს გოგონა დაიკარგა და იგი ნახეს ჩეჩნურ ოჯახში გერმანიაში, სადაც, ფაქტობრივად, მოსამსახურედ მუშაობდა. შემდეგ იგი დაბრუნდა ლიტვაში, როგორც გამოუსწორებელი ისლამისტი.

* * *

**ახალი ხელშეკრულება რუსეთთან აშშ-ს საშუალებას მისცემს, ააგოს ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემა 2018 წლისთვის**

რუსეთ-ამერიკის ახალი ხელშეკრულების თანახმად, არავითარი შეზღუდვები რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის გამოცდების მოწყობის შესახებ არ იქნება. რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის განლაგების პირველი ფაზა დამთავრდება უკვე 2011 წლის ბოლოსთვის.


# განცხადებები

**სსიპ — წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო აცხადებს ღია კონკურსს შემდეგი სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების თანამდებობების დასაკავებლად**

**1. გარემოს დაცვის ლაბორატორიაში**

• ლაბორატორიის ხელმძღვანელი, უფროსი მეცნიერ–თანამშრომელი — 1 საშტატო ერთეული — სპეციალობით ინჟინერ–ეკოლოგი (დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი);

**2. ალაზნის საცდელ–სამელიორაციო ეკოლოგიურ პუნქტში**

• პუნქტის გამგე, მეცნიერ–თანამშრომელი — 1 საშტატო ერთეული — სპეციალობით ინჟინერი (დოქტორანტი, დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი).

**კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველებმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთონ:**

ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
ბ) ავტობიოგრაფია (CV);
გ) კადრების მიერ დამოწმებული შრომის წიგნაკის ქსეროასლი;
დ) მაგისტრის, დოქტორის სამეცნიერო ან აკადემიური ხარისხის მქონე პირის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
ე) გამოქვეყნებულ შრომათა ნუსხა (დამოწმებული);
ვ) ერთი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც სრულად წარმოაჩენს ავტორის სამეცნიერო მიმართულებას;
ზ) შესაბამისი დარგის ერთი მეცნიერის რეკომენდაცია (საკონტაქტო ინფორმაციით);
თ) სამეცნიერო საგრანტო პროექტებში მონაწილეობა (ჩამონათვალი);
ი) პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების, დანერგვის აქტების და სხვ. ჩამონათვალი.

საკონკურსო საბუთების მიღება იწარმოებს 2010 წლის 20 აპრილიდან (10 საათიდან — 17 საათამდე, შაბათ-კვირის გარდა) სსიპ წყალთა მეურნეობის ინსტიტუტში (II სართული, ოთახი №217). საბუთების წარდგენის ბოლო ვადაა 20 მაისი, 17 საათი.

კონკურსი ჩატარდება 23 მაისს. მისამართი: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი, 60

**დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სწავლულ მდივანს შორენა კუპრეიშვილს ტელ: 22-74-01; ფაქსი: 22-73-00 ელ. ფოსტა: gwmi1929@gmail.com; ინტერნეტ მისამართი: www.gwmi.ge**

**დირექტორი: გივი გავარდაშვილი**
**ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი**

**სსიპ — წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი აცხადებს ღია კონკურსს შემდეგი სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად**

**1. ბუნებრივი კატასტროფების განყოფილებაში**

• მეცნიერ-თანამშრომელი — 1 საშტატო ერთეული — სპეციალობით გეოლოგი (მაგისტრის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი);

**2. წყლის რესურსებისა და ჰიდროტექნიკური ნაგებობების განყოფილებაში**

• მეცნიერ-თანამშრომელი — 1 საშტატო ერთეული — სპეციალობით ბიოლოგი (დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი);

**3. ჰიდრომელიორაციისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების განყოფილებაში**

• მეცნიერ-თანამშრომელი — 0,5 საშტატო ერთეული — სპეციალობით ჰიდრომანქანები (ჰიდრავლიკური ტურბინები და ტუმბოები) (დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი);

**4. საერთაშორისო ურთიერთობის სექტორში**

• მეცნიერ-თანამშრომელი — 0,5 საშტატო ერთეული — უცხო ენის (გერმანული, ფრანგული, ესპანური) სპეციალისტი (მაგისტრი, დოქტორანტი, დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი).

**კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველებმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთონ:**

ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
ბ) ავტობიოგრაფია (CV);
გ) კადრების მიერ დამოწმებული შრომის წიგნაკის ქსეროასლი;
დ) მაგისტრის, დოქტორის სამეცნიერო ან აკადემიური ხარისხის მქონე პირის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
ე) გამოქვეყნებულ შრომათა ნუსხა (დამოწმებული);
ვ) ერთი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც სრულად წარმოაჩენს ავტორის სამეცნიერო მიმართულებას;
ზ) შესაბამისი დარგის ერთი მეცნიერის რეკომენდაცია (საკონტაქტო ინფორმაციით);
თ) სამეცნიერო საგრანტო პროექტებში მონაწილეობა (ჩამონათვალი);
ი) პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების, დანერგვის აქტების და სხვ. ჩამონათვალი.

საკონკურსო საბუთების მიღება იწარმოებს 2010 წლის 20 აპრილიდან (10 საათიდან — 17 საათამდე, შაბათ-კვირის გარდა) სსიპ წყალთა მეურნეობის ინსტიტუტში (II სართული, ოთახი №217). საბუთების წარდგენის ბოლო ვადაა 20 მაისი, 17 საათი.

კონკურსი ჩატარდება 23 მაისს. მისამართი: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი, 60

**დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სწავლულ მდივანს შორენა კუპრეიშვილს ტელ: 22-74-01; ფაქსი: 22-73-00 ელ. ფოსტა: gwmi1929@gmail.com; ინტერნეტ მისამართი: www.gwmi.ge**

**დირექტორი: გივი გავარდაშვილი**
**ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი**

**დიდი ტერორი?**

ალექსანდრ ელისეევი

# 1937 წლის გამოცანის ამოხსნა

## „საუკუნის დანაშაული“ თუ ქვეყნის გადარჩენა?

ალბათ, ყველაზე მეტად თავი გამოიჩინა პოსტიშევმა, რომელიც გვარიანად შეაშინეს რეგიონალებმა 1937 წლის დასაწყისში. კუიბიშევის ოლქში მან მოაწყო ტერორი, რომელიც უპრეცედენტო იყო იმ დროისთვისაც კი. მან გამოსცადა ერთგვარი სიახლე – რაიკომების მასობრივი დათხოვნა. თავისი მდივნობის დროს პოსტიშევმა 30 რაიკომი დაშალა. რა თქმა უნდა, ყველა გაყრილი კომიტეტის მუშაკები რეპრესირებული იქნა.

პოსტიშევი აბსურდამდე მიდიოდა. მაგალითად, ის ლუპით ხელში ათვალიერებდა სკოლის რვეულებს, ცდილობდა მათში აღმოეჩინა სვასტიკა და სხვა ფაშისტური სიმბოლიკა. და ნახულობდა კიდეც! სვასტიკად შეიძლებოდა გამოგეცხადებინა ჩვეულებრივი გვირილაც კი.

მძვინვარებდა ვარეიკისი – სტალინიზმის კიდევ ერთი „უდანაშაულო“ მსხვერპლი. სექტემბერში მან გაგზავნა მეტად სანიმუშო წერილი. მასში იტყობინებოდა „სამხარეო მემარჯვენე ტროცკისტური იაპონური (!ძ ცენტრის“ შესახებ. ვარეიკისი ახსენებდა: „...შორეული აღმოსავლეთის პარტიზანებიდან ძველი ბოლშევიკების თითქმის მთელი ჯგუფი გარყვნილია პოლიტიკურად და ჩაითრიეს სამხედრო-ფაშისტურ შეთქმულებაში... ყველა რამდენადმე მნიშვნელოვან სარკინიგზო კვანძში, სადგურსა და დეპოში იყვნენ იაპონელი ჯაშუშები, აგენტები, რეზიდენტები. ამ ხნის განმავლობაში საფუძვლიანად გავასუფთავეთ გზა. 500-ზე მეტი ჯაშუში დაიხვრიტა“.

არც სტალინისტები ჩამორჩებოდნენ. მოსკოვში რეპრესიები მოაწყო პიროვნების კულტის მომავალმა გამომაამშკარავებელმა ხრუშჩოვმა. ლენინგრადში – ჟდანოვმა. ლენინგრადის საქალაქო კომიტეტის 65 წევრიდან, რომლებიც 1937 წლის 29 მაისს აირჩიეს, 1938 წლის ზაფხულამდე მხოლოდ ორმა მიაღწია. ხუთი გადაიყვანეს სხვა თანამდებობაზე, დანარჩენები – „გაწმინდეს“. სტალინის გუნდის წევრები მოგზაურობდნენ ქვეყანაში, მონაწილეობდნენ ადგილობრივი ორგანიზაციების დარბევაში. ამასთან ისინი დარტყმისგან იცავდნენ საჭირო ხალხს. განსაკუთრებულ მავნებლებს, პირიქით, ურთულებდნენ ხვედრს. ბელადს არ სურდა პროცესის თვითდინებაზე მიშვება.

რეპრესიების ცეცხლის ხანძარში იწვებოდა უწყებრივი ოლიგარქების უმრავლესობა. „შინსახკომის დამსჯელ მახვილს“ ვერ გადაურჩა თავდაცვის მრეწველობის სახალხო კომისარი მ.ლ.რახიმოვიჩი, მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარი ი.ე.ლუბიმოვი, კვების მრეწველობის სახალხო კომისარი ს.ს.ლუბოვი. რეგიონალები არ იცავდნენ სოციალურად მახლობელ „სამეურნეო მუშაკებს“, რითაც ხელს უწყობდნენ „მემარცხენე კონსერვატორების“ მთელი დაჯგუფების პოზიციების დასუსტებას.

ნიშანდობლივია, რომ ეს საშინელი დრო საშინელი იყო, უწინარეს ყოვლისა, კომუნისტური პარტიისთვის, რომელიც ერთგვარი ელიტა, არისტოკრატია იყო. უბრალო ხალხი გაცილებით ნაკლებად დაზარალდა. ქვეყანაში დადიოდა, პრინციპულად თავად მისი მომყოლისთვის საშიში, ანეკდოტი: „ღამეა. კარზე აკაკუნებენ. სახლის პატრონი მიდის და ეკითხება: „ვინ არის?“ მას უპასუხებენ: „თქვენს სახელზე დეპეშაა“. – „ა-ა-ა, – გაგებით აგრძელებს პატრონი, – თქვენ შეგეშალათ, კომუნისტები ზედა სართულზე ცხოვრობენ“.

როგორი გასაკვირიც უნდა იყოს, მაგრამ 1937 წელი მეტად ხელსაყრელი იყო რუსეთის გლეხობის უმრავლესობისთვის. დიდ ტერორს თან ახლდა დათმობა გლეხობისთვის. მარტში გააუქმეს კოლმეურნეობებისა და ერთპიროვნული გლეხების დავალიანება. გლეხებს ნება მისცეს, გაეყიდათ ზედმეტი ხორბალი – მანამდე, სანამ შეასრულებდნენ სავალდებულო სახელმწიფო მიწოდებას. სტალინიზმის მკაცრი კრიტიკოსი ტაკერი იძულებით აღნიშნავს: „გლეხებისთვის ხელსაყრელმა ზომებმა ხელსაყრელ ბუნებრივ პირობებთან შეხამებით, რამაც საშუალება მისცა მათ 1937 წელს მოეწიათ არნახული მოსავალი (1936 წლისგან განსხვავებით, როდესაც არნახულმა გვალვამ მოიცვა ბევრი რაიონიძ, ხელი შეუწყო სოფლად კმაყოფილების ატმოსფეროს შექმნას. ბევრს შეეძლო მჭმუნვარე კმაყოფილებით ემსჯელა იმის შესახებ, რომ იმავე კომუნისტებმა, რომლებმაც სულ ცოტა ხნის წინათ მათ მკაცრი გამოცდა მოუწყვეს კოლექტივიზაციითა და შიმშილით, მიიღეს თავისი საზღაური“.

რეპრესიული პოლიტიკის განხორციელებით, რეგიონალები საბოლოო ჯამში ანგრევდნენ საკუთარსავე სიძლიერეს. მაგრამ ახალი დაწინაურებულები ადგილობრივ ხელმძღვანელობას უკვე უნდობლობით უყურებდნენ, ეშინოდათ (არც უსაფუძვლოდძ, რომ იგი, ადრე თუ გვიან, მოახდენდა მათსავე რეპრესიას. რეპრესიებს უკავშირებდნენ ძირითადად რეგიონალურ ხელმძღვანელობას. მოსკოვი კი შორს იყო და მიაჩნდათ, რომ იქაურმა ხელმძღვანელობამ არაფერი იცოდა იმის შესახებ, თუ რა ხდება ადგილებზე. ამიტომ გარკვეულ მომენტებში ადგილობრივი კადრები მზად იყვნენ მოეწონებინათ მათი ხელმძღვანელობის გადააადგილება და დაპატიმრება.

ამას გარდა, რეგიონალები თავად ქმნიდნენ ნიადაგს მომავალი ბრალდებებისთვის. აუცილებლად ჩნდებოდა კითხვა – თუ რეგიონში ამდენი მტერი აღმოჩნდა, ვინაა ამაში დამნაშავე? საუფლისწულო ვაჟბატონები ხომ არა? მასობრივი ანგარიშსწორების თავად ფაქტი იძლეოდა საბაბს აშკარა ეჭვებისთვის იმაში, რომ ყველა რეპრესირებული დაზარალდა საქმის გამო.

რამდენიმე თვის განმავლობაში, რომელმაც გაიარა ივნისისა და ოქტომბრის პლენუმებს შორის, სტალინმა შეძლო დაემხო ისეთი რეგიონალური ლიდერები, როგორებიც იყვნენ ვარეიკისი, ხატაევიჩი, შარანგოვიჩი, იკრამოვი. როგორც ყინვები ზაფხულში, ელვისებურად დნებოდა „მემარცხენე კონსერვატორების“ დაჯგუფება. თუმცა ჯერ კიდევ რჩებოდნენ ყველაზე მაღალი ეშელონის მაგნატები – კოსიორი და ეიხე. მთავრობაში იჯდა მათი დაყენებული კაცი ჩუბარი. ვოლგაზე ანცობდა პოსტიშევი. მთელი ეს პუბლიკა პოლიტბიუროს შემადგენლობაში იყო – როგორც წევრები ან წევრობის კანდიდატები. მათზე პირდაპირი შეტევა უშედეგო და საშიშიც კი იყო, რეგიონალურ თავადუკებს სავსებით შეეძლოთ ჩასულიყვნენ ფსონს ყველაზე გადამწყვეტ სეპარატიზმზე და გაეჩაღებინათ სამოქალაქო ომი. და აი მაშინ სტალინმა გადაწყვიტა ბოლო მოეღო მათთვის თუ ჩაყოლით არა – ჩათრევით მაინც.




ბელადმა აცდუნა ისინი საკვანძო თანამდებობებით სსრ კავშირის მთავრობაში. ეს მას სჭირდებოდა იმისთვის, რომ გამოეტყუებინა ისინი რეგიონალური სამამულეებიდან და გადაეადგილებინა უცხო სახკომსაბჭოს გარემოში. ამ გარემოში, რომელსაც სტალინი და მოლოტოვი აკონტროლებდნენ, რეგიონალების გავლენა აუცილებლად უნდა დასუსტებულიყო.

სტალინმა უნარიანად გამოიყენა ვაჟბატონების უსაზღვრო პატივმოყვარეობა. მათთვის უკვე ცოტა იყო თავიანთი რეგიონების ბედის განსაზღვრა და გავლენის მოხდენა ქვეყნის მდგომარეობაზე პოლიტბიუროს მეშვეობით. მათ მთავრობის პოსტებიც მოინდომეს, რომლებიც სტალინმა მათ უხვად შესთავაზა. ანკესს პირველი ეიხე წამოეგო, რომელიც 1937 წლის ოქტომბერში სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახკომი გახდა. მას მიჰყვა კოსიორი, რომელმაც 1938 წლის იანვარში ერთბაშად ორი პოსტი მიიღო – სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილისა და საბჭოთა კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარისა.

რეგიონალები ეშმაკი ხალხი იყო, მაგრამ ხრიკი მაინც ვერ შენიშნეს. ჯერ ერთი, იმიტომ რომ პატივმოყვარეობა ყოველთვის უშლის ხელს პოლიტიკურ სიფხიზლეს. მეორეც, სტალინმა შეძლო მათი ყურადღების მოდუნება ჩუბარის გამოყენებით, რომელიც ოდესღაც უკრაინის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე იყო. ეს მოღვაწე სახკომსაბჭოს თავმჯდომარის პოსტზე იმყოფებოდა უკვე 1934 წლიდან და, ეჭვს გარეშეა, ასრულებდა რეგიონალური ელიტის ლობისტის ფუნქციას. სტალინს მისთვის ხელი არ უხლია, გონივრულად მიიჩნევდა, რომ განსაკუთრებულ ამინდს ის ვერ შექმნიდა. ჩუბარის მაგალითი ამშვიდებდა რეგიონალებს, რომლებსაც მიაჩნდათ, რომ სტალინი, თავისი ძველი ტრადიციის მიხედვით, ცდილობს მოაწესრიგოს ერთგვარი კომპრომისი. მათს ოპტიმიზმს ამყარებდა კიდევ ის, რომ კოსიორის დანიშვნასთან ერთდროულად სტალინმა დააწინაურა ჩუბარიც, რომელსაც მისცა სახკომსაბჭოს თავმჯდომარის უკვე პირველი მოადგილის პოსტი.

სავარაუდო კომპრომისიდან რეგიონალებს უნდოდათ ამოექაჩათ რაც შეიძლება მეტი უპირატესობა. შეიძლება, ისინი თავიანთ ახალ სტატუსს განიხილავდნენ, როგორც ერთგვარ წინაპირობასაც ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად. მაგრამ ამჯერად სტალინი არ იყო განწყობილი კომპრომისისთვის. ის შეეცადა საქმე აეწყო ისე, რომ ახალი თანამდებობანი აღმოჩენილიყო ტრამპლინად – არსად.

მაგრამ თავდაპირველად მან ანგარიში გაუსწორა ნაკლებად სახიფათო პოსტიშევს. 1938 წლის დასაწყისში ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმზე მოიყვანეს მონაცემები კუიბიშევის ოლქში რეპრესიების გაუგონარი გაქანების შესახებ. სტალინმა იქ მომხდარი ამბები ასე დაახასიათა: „ესაა ორგანიზაციის დახვრეტა. თავიანთ თავს რბილად ეპყრობიან, რაიონულ ორგანიზაციებს კი ხვრეტენ... ეს ნიშნავს აამხედრო პარტიული მასები ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ“. პოსტიშევს პლენუმზე მკაცრად აკრიტიკებდნენ სტალინელები – მოლოტოვი, ეჟოვი, მიქოიანი, ბერია, კაგანოვიჩი. ამ დროს კოსიორი, ეიხე და ჩუბარი დუმდნენ. მათ არ სურდათ პოსტიშევისთვის ბრალის დადება, მაგრამ ის, თუ რას აკეთებდა იგი, იყო გადახრა მათი თვალსაზრისითაც კი. თანაც მათ მიიღეს თვალსაჩინო დანიშვნები და არ სურდათ სტალინთან შეპირისპირება. რეგიონალებმა გაწირეს პოსტიშევი. იანვარში ის გადააყენეს ყველა პოსტიდან, გარიცხეს პარტიიდან, 22 თებერვალს კი ის დააპატიმრეს.

შემდეგ თავად რეგიონალების დროც დადგა. სტალინმა ცოტა მოითმინა და დაიწყო მათზე შეტევა, თანაც ცენტრალური კომიტეტის აზრის გაუთვალისწინებლად, რომელიც, არცთუ რეგიონალების დაუხმარებლად, გვარიანად იყო გაწმენდილი. აპრილში დააპატიმრეს ეიხე, ივნისში – კოსიორი. სახელისუფლო ოლიმპის მწვერვალიდან უკანასკნელი ჩამოვიდა უკვე უსარგებლო ჩუბარი. სტალინს თავდაპირველად არ დაუწყია მისი დაპატიმრება, არამედ უბრალოდ გადააადგილა სოლიკამსკის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატის მშენებლობის უფროსად. მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა და მაინც მოაყოლა რეპრესიაში.

სავსებით ცხადია, რომ რეგიონალები თავიანთივე მემარცხენე კონსერვატიული პოლიტიკური რწმენის მსხვერპლები აღმოჩნდნენ, რაც პრაქტიკულად მასობრივ ტერორში გადაიზარდა. მაგრამ მომხდარზე მთელი პასუხისმგებლობის მათთვის დაკისრება არ შეიძლება. სამოქალაქო ომის რეციდივი პროვოცირებული იყო სხვადასხვა ჯურის შეთქმულების – ტროცკისტების, ზინოვიეველების, ბუხარინელების, ტუხაჩევსკელების საქმიანობიდან. „მემარცხენეებმაც“, „მემარჯვენეებმაც“ გვარიანად იშრომეს იმისთვის, რომ აეფორიაქებინათ ყველაზე ფართო პარტიული მასები.

## თავი 11

## გამარჯვებული და დამარცხებული

### ნორმალიზაცია

ახლა სტალინის წინაშე დადგა უმნიშვნელოვანესი ამოცანა – დაუბრუნოს ქვეყანას ნორმალური ცხოვრება. ჯერ კიდევ იანვრის პლენუმზე გ.მალენკოვი ბევრს საუბრობდა პარტიიდან დაუსაბუთებელი გარიცხვების შესახებ. თუმცა, მაშინ არ დასმულა საკითხი უსამართლოდ დაპატიმრებულების შესახებ. სტალინი ფრთხილობდა და ვერ გადაეწყვიტა ყველაფრისთვის თავისი სახელი ეწოდებინა. იანვრის პლენუმის შემდეგ მოსამართლეებმა მასობრივი წესით დაიწყეს ყალბი საქმეების დამატებითი გამოძიებისთვის დაბრუნება. აპრილში სსრ კავშირის პროკურატურამ საოლქო და რესპუბლიკურ პროკურატურებს მისცა განსაკუთრებული ინსტრუქციები. მათ თანახმად, პოლიტიკური ბრალდებით ყველა საქმის აღსაძვრელად საჭირო იყო საკავშირო პროკურატურის თანხმობა. და პროკურატურაც შეეცადა მიეცა რაც შეიძლება მეტი უარყოფითი პასუხი. მაის-დეკემბერში ვიშინსკის უწყებამ მიიღო 98 478 თხოვნა პოლიტიკური საქმის აღძვრის შესახებ, რომელთაგანაც დააკმაყოფილეს მხოლოდ 237. პროკურატურის მუშაკებმა დაიწყეს სასამართლო პასუხისმგებლობაში მრავალრიცხოვან დამსმენთა მიცემა. პრესაში მათ წინააღმდეგ ნამდვილი კამპანია დაიწყო. მარტო აპრილ-სექტემბერში „პრავდამ“ ათი სტატია გამოაქვეყნა, რომლებიც ააშკარავებდნენ თავშეუკავებელ დამსმენობას.

რეგიონალები დაეცნენ, მაგრამ ჯერ კიდევ იყო ერთი სერიოზული დაბრკოლება, რომელიც ხელს უშლიდა „დიდი ტერორის“ დამთავრებას. მხედველობაში მყავს „რკინის სახკომი“ ეჟოვი. „დიდი ტერორის“ პერიოდში ეჟოვმა უკიდურესად განიმტკიცა თავისი პოზიციები სახელისუფლო ოლიმპზე. ამას ხელი შეუწყო მის ხელში ორი უმნიშვნელოვანესი პოსტის – ცენტრალური კომიტეტის მდივნისა და პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის თავმოყრამ.

ეჟოვმა, როგორც იტყვიან, ძალიან შეიფერა საიდუმლო პოლიციის უზარმაზარი აპარატის სარდლობა. ის პრეროგატივები, რომლებიც მიეცა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს უმაღლეს პარტიულ თანამდებობებთან შეთავსებით, ხდიდა მას დამოუკიდებელ პოლიტიკურ ფიგურად, რომელსაც არ შეეძლო არ დაესახა თავისთვის განსაკუთრებული მიზნები. თუ იაგოდა იმყოფებოდა ბუხარინელების იდეური გავლენის სივრცეში და ორიენტირებული იყო ინტელიგენციაზე, ეჟოვს უნდოდა ყველაფრის სათავეში საკუთარი უწყება დაეყენებინა. და ეს სავსებით ლოგიკური იყო. ტექნოკრატები პირველ პლანზე სწევდნენ სამეურნეო ბიუროკრატიას, რეგიონალები – ადგილობრივ ელიტებს, სამხედროები – არმიის ზედა ფენებს. ეჟოვი კი წინ სწევდა თავის საკუთარ, მეტად სპეციფიკურ სახალხო კომისარიატს. ცხადია, მას უნდოდა საიდუმლო პოლიცია გაეხადა ხელისუფლების ერთგვარ დომინირებულ შტოდ, რეპრესიები კი გადაექცია ქვეყნის ცხოვრების მუდმივი და გეგმიური ორგანიზაციის მექანიზმად. ტერორი მისთვის უკვე თვითმიზანი ხდებოდა. მან მისი განხილვა დაიწყო როგორც ერთგვარ საწარმოო პროცესად, რომელიც უნდა ყოფილიყო მუდმივად მზარდი, თავისი ხარისხის თვალსაზრისითაც.

ბოლოს და ბოლოს, ეჟოვმა გადაწყვიტა ხელი მოექნია სტალინის გუნდის წევრებზეც. არის იმის მონაცემები, რომ ის ამზადებდა სარეპრესიო აქციას კაგანოვიჩის წინააღმდეგ. ყოველ შემთხვევაში, ჩვენებები მის შესახებ უკვე გროვდებოდა. მაგალითად, ხარკოვის სატრაქტორო ქარხნის დირექტორმა ბონდარენკომ მისცა შინსახკომს ჩვენება „კონტრრევოლუციონერ“ კაგანოვიჩზე.

ეჟოვის დაპატიმრების შემდეგ მის სეიფში ნახეს დოსიე, რომელიც შედგენილი იყო სტალინსა და მისი უახლოესი გარემოცვის პირებზე. არც ისე დიდი ხნის წინათ კი, სარემონტო სამუშაოების დროს, აღმოჩნდა, რომ ეჟოვის უწყება რეგულარულად „უსმენდა“ ბელადის კაბინეტს.

შინსახკომმა დაიწყო სეპარატული აქციები, რომლებიც მიმართული იყო სტალინთან ურთიერთობაში ლოიალური და მისი სრული ნდობით აღჭურვილი პიროვნებების წინააღმდეგ. განსაკუთრებით საყურადღებოა შოლოხოვთან დაკავშირებული ისტორია. ორგანოები მიიწევდნენ მისკენ ჯერ კიდევ 1936 წელს, როდესაც მწერლის მშობლიურ სტანიცა ვეშენსკაიაში გაიხსნა ყალბი „კონტრრევოლუციური ორგანიზაცია“. მაგრამ მისთვის ხელისხლებისა ეშინოდათ. სტალინი დიდად აფასებდა და უყვარდა შოლოხოვი. მწერალს არ ეშინოდა ღიად მიეწოდებინა ბელადისთვის ინფორმაცია იმ უგვანობათა შესახებ, რაც ადგილებზე ხდებოდა. ის გადაჭრით გამოვიდა კოლექტივიზაციის დროს მომხდარ ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ. 1933 წელს მწერალმა სტალინს სამი წერილი გაუგზავნა, რომლებშიც აღწერდა მშობლიური მხარის მძიმე მდგომარეობას.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 14-71.

## ჭიდაობა



# „კლასიკოსები“ ბრინჯაოს დასჯერდნენ

**გასულ უქმეებზე ბაქოში ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატი დამთავრდა. შეჯიბრებაში შვიდი ქართველი „კლასიკოსიც“ მონაწილეობდა.** „თავისუფლებისგან“ განსხვავებით, მთავარი მწვრთნელის – ბეგი დარჩიას შეგირდებმა აზერბაიჯანის დედაქალაქის ხალიჩაზე სუსტად იასპარეზეს. კვარცხლბეკს მიღმა აღმოჩნდნენ ლაშა გოგიტიძე, რევაზ ლაშხი, ანტონ მამაგეიშვილი, გენადი გოგიშვილი, არსენ კახაბრიშვილი და დიმიტრი ჯავახიშვილი. ერთადერთმა, 96 კილოგრამ წონით კატეგორიაში დებიუტანტმა, იოსებ ჯაბიძემ იყოჩაღა – ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. ქართველმა ფალავანმა ტურნირზე მხოლოდ ერთი შეხვედრა დათმო ოლიმპიურ და უკვე ევროპის სამგზის ჩემპიონ ასლანბეკ ხუშტოვთან. დანარჩენ სამ ორთაბრძოლაში კი ესტონელ არდო არუსაარს, აზერბაიჯანელ საბუჰი ჰუმბატოვს, პოლონელ ანდრეი დებერნის სძლია და მესამე ადგილზე გავიდა.

## სამბო

# ელადიდან – უხვი ნადავლით

**ბერძნულმა მუდანიამ ახალგაზრდა და ჭაბუკ სამბისტთა ევროპის პირველობას უმასპინძლა. ჩვენმა მოჭიდავეებმა ელადიდან 15 მედალი ჩამოიტანეს, მათ შორის ექვსი – უმაღლესი სინჯისა.**

ახალგაზრდებში ოქროს მედლები მოიპოვეს გია ნადარეიშვილმა (48კ), ზებედა რეხვიაშვილმა (74კ), ვახტანგ სარაჯიშვილმა (82კ) და ლევან მუქერიამ (მძიმე წონა). მხოლოდ ფინალური ორთაბრძოლები დათმეს გენადი ჩირგაძემ (57კ) და გიორგი ტაბატაძემ (62კ), ხოლო ზაზა დავაძე (90კ) ბრინჯაოს დასჯერდა. გუნდურ ჩათვლაში ჩვენს ახალგაზრდებს პირველი ადგილი ხვდათ.

ჭაბუკებში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე გიგა გიუნაშვილი (50კ) და გოჩა ვარძელაშვილი (65კ) ავიდნენ. ვიცე-ჩემპიონები გახდნენ გიორგი საჩალელი (52კ), გიორგი კაცია (60კ), მიხეილ ჩოხელი (70კ) და სლავა რეზესიძე (+87კ). ბრინჯაოს მედლებით ლერი ჯიხვაშვილი (48კ) და ალექსანდრე მილდიანი (87კ) დაჯილდოვდნენ.

## ჭადრაკი

# ყოჩაღ, თამარ!



**ვეტერან მოჭადრაკეთა ევროპის ჩემპიონატზე, რომელსაც ბერძნულმა სალონიკიმ უმასპინძლა, ბოლო ტურში თბილისელმა დიდოსტატმა თამარ ხმიადაშვილმა რუსი იულია სავინოვა დაამარცხა და სხვებისთვის მიუწვდომელი აღმოჩნდა.** 6,5 ქულით მეორე ადგილი რუსმა ელენა ფატალიბეკოვამ დაიკავა. 6-6 ქულით, შესაბამისად, მესამე-მეხუთე ადგილებზე ლუდმილა საუნინა, ნატალია ტიტორენკო (ორივე – რუსეთი) და ნონა გაფრინდაშვილი გავიდნენ.

## მძლეოსნობა



# ისევ – „ოქრო“

**ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ გეინსვილში საუნივერსიტეტო ჩემპიონატის მეორე ეტაპზე მძლეოსანთა ტურნირში კვლავ ქართველმა მარიამ ქევხიშვილმა გაიმარჯვა, რომელმაც ბირთვი 18,46-მეტრიან ზღვარს გადაატყორცნა... გადააცილა. მომდევნო შეჯიბრების ჩვენებური ოკეანის გაღმა 26-27 აპრილს გამართავს.**

## ფეხბურთი

# აქეთურ-იქითური



**ვის არ გსმენიათ, რომ პრობლემები იმ კლუბებს ექმნებათ, რომლებსაც დალხენილი სატურნირო მდგომარეობა რომ არა აქვთ. ეს იმ ქვეყნებს ეხება, სადაც ცივილიზებული საზოგადოებაა ჩამოყალიბებული, მაგრამ ჩვენ ხომ ჯერ კიდევ ბევრი გვიკლია იქამდე.**

ეს რომ ასეა, „ზესტაფონის“ ხვედრიც ადასტურებს: გუნდი, რომელიც ეროვნულ ჩემპიონატში მეორე-მესამე ადგილებს ინაწილებს, საკუთარი ქალაქიდან აიბარგა და დარჩენილ საშინაო მატჩებს დედაქალაქში გამართავს.

ასეთი პერსპექტივის ოფიციალურ მიზეზად ფეროელთა სტადიონის ევროტურნირის შეხვედრებისთვის მზადება სახელდება, თუმცა ვინ არ იცის, რომ ყვირილისპირელები უწინაც არაერთხელ დაზარალებულან რეგიონის ხელისუფალთა ზერელე დამოკიდებულებით სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობის მიმართ.

და კიდევ, ვთქვათ დავიჯერეთ გახმაურებული ვერსია, მაგრამ ამ შემთხვევაში რა პასუხი გაეცემა კითხვას: იმერეთში სტადიონები დაილია, გია გეგუჩაძის შეგირდებმა თბილისში რომ არ ითამაშონ?

ეტყობა, საქმისადმი ოფიციოზის ასეთი გულგრილი მიდგომის ბრალიცაა, ბიჭები სათანადოდ რომ ვერ განეწყვნენ XXX ტურში საბრძოლველად და ძვირფასი ქულები დაკარგეს გათამაშების აუტსაიდერ „გაგრასთან“ – 0:0.

კიდევ უფრო დიდი იმედგაცრუება ელოდათ მათი უშუალო კონკურენტის – „დინამოს“ ქომაგებს. დავით ყიფიანის თასის ფინალისტმა ამასწინანდელ მეტოქესთან „ცხინვალთან“ წაიფორხილა – 1:2 (აკირემი; დეკანოიძე, ბურჯანაძე). ასე რომ, ამ უკანასკნელის ახალ მთავარ მწვრთნელს გოჩა ჩიქოვანს მართლაც რომ საოცნებო დებიუტი გამოუვიდა.

**დანარჩენი შედეგები:** „სამტრედია“ – „ოლიმპი“ 0:1, „სიონი“ – „ვიტ ჯორჯია“ 2:2, „ლოკომოტივი“ – „ბაია“ 1:3.

**სატურნირო მდგომარეობა:** „ოლიმპი“ – 69, „დინამო“, „ზესტაფონი“ – 58-58, „ვიტ ჯორჯია“ – 53, „ცხინვალი“ – 39, „სამტრედია“, „სიონი“ – 31-31, „ბაია“ – 26, „ლოკომოტივი“ – 19, „გაგრა“ – 16 ქულა.

* * *

**ინგლისი. XXXV ტური.** „ტოტენჰემი“ – „ჩელსი“ 2:1, „სიტი“ – „მანჩესტერი“ 0:1, „უიგანი“ – „არსენალი“ 3:2.

**გერმანია. XXXI ტური.** „ბაიერნი“ – „ჰანოვერი“ 7:0, „შალკე“ – „გლადბახი“ 3:1, „ვოლფსბურგი“ – „ვერდერი“ 2:4.

**იტალია. XXXIV ტური.** „ლაციო“ – „რომა“ 1:2, „ინტერი“ – „იუვენტუსი“ 2:0, „სამპდორია“ – „მილანი“ 2:1.

**ესპანეთი. XXXIII ტური.** „ესპანიოლი“ – „ბარსელონა“ 0:0, „რეალი“ – „ვალენსია“ 2:0, „სევილია“ – „ხიხონი“ 3:0.

**საფრანგეთი. XXXIII ტური.** „ბულონი“ – „მარსელი“ 1:2, „ოსერი“ – „ლორიენი“ 4:1, „ბორდო“ – „ლიონი“ 2:2.

## კალათბურთი

# არის ასეთი მწვრთნელი

**მას შემდეგ, რაც თბილისის „დინამოს“ დავით თორთლაძე ჩაუდგა სათავეში, ამ გუნდმა ბრწყინვალედ განაგრძო მისი წინამორბედის ზაზა ცაგარეიშვილის მაგისტრალური ხაზი და დღეს, სავსებით შესაძლებელია, სუპერლიგის ნახევარფინალში გავიდეს – საამისოდ „თეთრ-ლურჯებმა“ პლეი-ოფის დამატებითი მესამე მატჩი ერთ-ერთ ფავორიტს საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სტუდენტებს უნდა მოუგონ. მათ სერიაში ჯერჯერობით ანგარიში თანაბარია – 1:1.**

სასოფლოელები მეტოქეს პირველ შეხვედრაშიც გადაურჩნენ, როცა გამოუცდელობის გამო რეგულარული სეზონის მაჩანჩალებმა კარგად დაწყებული საქმე ლოგიკურ დასასრულამდე ვერ მიიყვანეს და 15-ქულიანი უპირატესობა გაანიავეს. ამ თამაშმა დაადასტურა, რომ მთავარმა მწვრთნელმა ის პრინციპულობა შეინარჩუნა, რომელიც კალათბურთელობისას გამოარჩევდა – იგი მაშინვე ცვლიდა იმ შეგირდს, რომელიც მის მითითებას არ შეასრულებდა.

ალბათ, ამასაც უნდა მივაწეროთ, რომ მეორე დღეს პირველი ბრძოლის ანტიგმირმა ილია ლონდარიძემ სათანადო დასკვნები გამოიტანა წაგებულ დუელში დაშვებული შეცდომებიდან და მთავარი როლი შეასრულა პარტნიორთა მიერ აღებულ რევანშში – 88:85. მან 26 ქულა(!) მოაგროვა. სხვათა შორის, მიხეილ კობეშავიძის კრებულმა ბექა წივწივაძის ძალისხმევით, რომელსაც კვირას ქორწილი ჰქონდა,



თითქმის შეუძლებელი შეძლო და 21-ქულიანი ჩამორჩენა აღმოფხვრა, მაგრამ სიგუას სამქულიანმა მისი იმედები დაასამარა.

დღესვე გაირკვევა ამ ეტაპის ყველაზე პრინციპული წყვილის – „ბათუმისა“ და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელთა შორის უძლიერესი. ზღვისპირელებმა საკუთარ დარბაზში გადამწყვეტი მატჩის გამართვის უფლება მას შემდეგ მოიპოვეს, რაც ძალოვნებს საპასუხო ჩხვლეტა დედაქალაქის სპორტის სასახლეში მიაყენეს – 95:84. ამ გამარჯვებაში სოლიდური წვლილი იმნაძემ, კეშელავამ და თავართქილაძემ შეიტანეს.

რაც შეეხება რუსთავის „ენერჯი ინვესტსა“ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს, მათ უპრობლემოდ დაიჯავშნეს ადგილები უძლიერესთა კვარტეტში სამედიცინო აკადემიასთან და „სოხუმთან“ შერკინებებში, თუმცა, ვფიქრობთ, ძებას იმსახურებს დევნილთა კლუბი იმ შემართებისთვის, რომლითაც მეორე შეხვედრა ჩაატარა.

* * *

ბასკეთის მთავარ ქალაქ ვიტორიაში გამართული ევროპის თასის გათამაშების „ოთხთა ფინალის“ გამარჯვებული „ვალენსია“ გახდა, რომელმაც გადამწყვეტი მატჩი ბერლინის „ალბას“ მოუგო – 67:44. აღსანიშნავია, რომ აქამდე კონტინენტური ტურნირის დასკვნით რაუნდში ყველაზე ცოტა მონაგარი – 54 ქულა „ხირონამ“ მოაგროვა, ასე რომ, გერმანელებმა შედეგიანობის მხრივ ახალი ანტირეკორდი დაამყარეს.

სატიტულო შეხვედრის საუკეთესო მოთამაშედ პეკოვიჩმა 17 ქულას მოუყარა თავი, ხოლო დე კოლომ და ნილსენმა 5-5 მოხსნა მიითვალეს.

**გია პლატონიშვილი**

## ბეისბოლი

# პირველი მერცხალი

**სპორტის აკადემიის ღია მოედანზე საქართველოს ბეისბოლისტებმა (მწვრთნელი ნუგზარ კაპანაძე) ამერიკის მოყვარულთა გუნდს უმასპინძლეს და ამხანაგური მატჩი 11:4 მოუგეს.**



## ჩოგბურთი

# ქართველთა „დუბლი“

ქართველმა ჩოგბურთელმა მანანა შაფაქიძემ შესანიშნავად იასპარეზა ასტანის (ყაზახეთი) საერთაშორისო ტურნირზე (საპრიზო ფონდი 10 ათასი დოლარი), სადაც იგი პირველ ნომრად იყო განთესილი. მანანამ ზედიზედ ხუთ მეტოქეს სძლია, მათ შორის – ფინალში მე-2 ნომერ რუს დარია კუჩმინას (6:7, 6:1, 6:4) და 2007 წლიდან კარიერაში მე-6 ტურნირი მოიგო. ამ გამარჯვებისთვის შაფაქიძე 12 სარეიტინგო ქულას მიიღებს და 35 საფეხურით წინ წაიწევს. ამჟამად კი იგი 453-ეა.

16 წლის ალექსანდრე მეტრეველმა ისრაელის ქალაქ ბეერშევას საერთაშორისო ტურნირზე ერთეულთა თანრიგის ფინალში მასპინძელ დორ ბელფერის მოუგო (6:1, 6:7, 6:3), წყვილებში კი რუს ნიკიტა კუშნარევთან ერთად ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე.



◎ „ლექსების გამოფენა“

# ბათუმი საფესტივალო ქალაქად უნდა იქცეს...



**ბათუმმა ლექსების გამოფენას მეორედ უმასპინძლა, რომელიც რამდენიმე დღის მანძილზე სასტუმრო „ინტურისტში“ გაგრძელდა. კონკურსის ორგანიზატორი იყო არასამთავრობო ორგანიზაცია „ხელოვნებისა და კულტურის ცენტრი“, რომელსაც მხარს უჭერდა ბათუმის მერია და კომპანია „ვისოლი“. „ინტურისტში“ ასი თანამედროვე პოეტის ასი საუკეთესო ლექსი გამოიფინა. მათ შორის საუკეთესოს გამოსავლენად დანომრილი ლექსების არჩევა გამოფენაზე მისულ სტუმრებს მიანდეს. ფავორიტი ლექსის ნომერს მკითხველი სპეციალურ ყუთში ათავსებდა, საიდანაც საუკეთესო შეირჩა.**



მკითხველის პარალელურად, ლექსები ხუთკაციანმა ჟიურიმ შეაფასა, ვახტანგ ღლონტმა, ბელა ქებურიამ, დავით ტურაშვილმა, რატი ამაღლობელმა, შოთა ბუჯაბიძემ და მაია კილაძემ სამი საუკეთესო ლექსის ავტორი კონკურსის დასრულებისთანავე დაასახელეს.

პირველი ადგილი წილად ხვდა **როინ აბუსერიძის** ლექსს „ათი მცნება,“ მეორე ადგილი — **მინდია ცეცხლაძის** „სასვენი ნიშნების მილმა,“ მესამე ადგილზე კი **ზექა ოთანაძის** „თეთრი პერანგი“ გავიდა.

მკითხველის სიმპათია გახდა **მაია ბოლქვაძის** ლექსი „როცა სიშორეზე ტირის როიალი.“

პროექტის ფარგლებში გამოვლინდნენ გამარჯვებულები პროზაშიც. 100-სიტყვიანი 51 ნაწარმოებიდან პირველ ადგილზე გავიდა **ლევან მაისურაძე,** მეორეზე — თე**ონა კუტალაძე,** მესამეზე - **გრიგოლ რუხაია.** მკითხველის სიმპათია გახდა მუხრან აბაშიძე, ხოლო ჟიურის სიმპათიის პრიზი მოიპოვა **ნინო ქოქოსაძემ.**

არასამთავრობო ორგანიზაცია „ხელოვნებისა და კულტურის ცენტრის“ თავმჯდომარემ ზაზა ფირცხალაიშვილმა აღნიშნა, რომ პროექტი „ლექსების გამოფენა“ მისი იდეაა.

„შარშან ბათუმმა ამ გამოფენას 21 ნოემბერს უმასპინძლა. მაშინ 322 ლექსიდან შეირჩა თანამედროვე პოეტის 100 საუკეთესო ლექსი. წლეულს კი საკონკურსო ლექსების რაოდენობამ 568-ს მიაღწია. სიახლეა ისიც, რომ პოეზიის კონკურსს პროზაში კონკურსიც დაემატა.“

ზაზა ფირცხალაიშვილის თქმით, ეს კონკურსი ტრადიციული გახდება. „ბათუმი ტურისტული ქალაქი კი არ უნდა იყოს, არამედ, უწინარესად — საფესტივალო ქალაქი. სექტემბერში იგი მე-4 მსოფლიო მასშტაბის დიდ კინოფესტივალს უმასპინძლებს. ჩემი ახალი პროექტის განხორციელებაც მინდა, რომელსაც ერქმევა „საქართველოს ისტორიის ერთი დღე,“ ვფიქრობ, ეს იქნება თეატრალური ფესტივალი საქართველოს მასშტაბით. სკოლებიდან ათკაციანი დასი 15-წუთიან სპექტაკლს - რომელიმე ეპიზოდს საქართველოს ისტორიიდან წარმოადგენს. სხვა გეგმებიც გვაქვს. იმედია, ბათუმი ჭეშმარიტად საფესტივალო ქალაქად გადაიქცევა...“

პროექტის „ლექსების გამოფენა“ ფარგლებში მოეწყო ველოაქცია და პოეტების ხეივანში დაირგო ხეები.

**თამარ შაიშმელაშვილი**

◎ გამოფენა

# მხატვრის დაბადების დღეს მიეძღვნა



**გალერეა „ვერნისაჟში“ ცნობილ მხატვარ-დიზაინერის ნანა გერასიმოვას დაბადების დღისადმი მიძღვნილი გამოფენა გაიხსნა. სამწუხაროდ, იგი ამ გამოფენას ვერ მოესწრო. გარდაცვალებიდან ჯერ ორმოცი დღე არ გასულა.**

1980-1985 წლებში თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ფაკულტეტზე სწავლობდა გამოყენებითი ხელოვნების მხატვრის სპეციალობით. 1985-86 წლებში მუშაობდა ტექნიკური ესთეტიკის ინსტიტუტში, გაერთიანება „სოლანში“. 1989 წლიდან თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში დიზაინის ფაკულტეტზე. გახლდათ მოდის დიზაინის მიმართულების ასოცირებული პროფესორი. 1987 წლიდან — მხატვართა კავშირის წევრია.

მონაწილეობდა 40-მდე გამოფენაში, როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ. აქედან 8 პერსონალური გამოფენის ავტორია. მისი ნამუშევრები ინახება ევროპისა და აშშ-ს კერძო კოლექციებში. გააფორმა 40-მდე წიგნი გამომცემლობისათვის: „მერანი“, „ხელოვნება“, „განათლება“. წიგნის გაფორმება, პლაკატი, ტანსაცმლის დიზაინი, ინტერიერის დიზაინი თუ სტატიის გაფორმება. მის მიერ შესრულებული ყველა პროექტი წარმატებული იყო.

2000 წელს მხატვარი მიიწვიეს „Rocky Mountain“-ის ნაციონალურ პარკში, აშშ. კოლორადოს შტატში.

2000 წელს მონაწილეობდა ინტერნეტ-პროგრამაში საქართველოზე „ONE WORLO JOURNEYS. COM“, რომელიც დაჯილდოვდა „New media invision“ ოქროს მედლით.

ნანა გერასიმოვას დაბადების დღისადმი მიძღვნილი გამოფენა ერთი კვირა გაგრძელდება.

**ეკა მაშიანოვა**
**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.**





საქმე №2/349

## განჩინება

**საქართველოს სახელით**
**საჯარო პუბლიკაციის გამოტანის შესახებ**

16 აპრილი 2010 წ. ქ. ფოთი

**ფოთის საქალაქო სასამართლოს**
**მოსამართლე თეა ბერაია**
**მოსარჩელე სს „თიბისი ბანკი“**
**წარმომადგენელი ვასილ ტიტვინიძე**
**მოპასუხეები თემურ ყორშია, ლალი ჯინჭარაძე, შპს „კვადრო 1“**
**დავის საგანი თანხის დაკისრება, იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია**

**გამოარკვია**

ფოთის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მომართა სს „თიბისი ბანკის“ წარმომადგენელმა ვასილ ტიტვინიძემ, მოპასუხეების: თემურ ყორშიას, ლალი ჯინჭარაძესა და შპს „კვადრო 1“-ის დირექტორის ალვერი იზორიას მიმართ, თანხის დაკისრებისა და იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის მოთხოვნით.

მოპასუხე თემურ ყორშიას სარჩელში მითითებულ მისამართებზე გაგზავნილ იქნა სასამართლო უწყება, მაგრამ კურიერის განმარტებით ირკვევა, რომ მოპასუხე თემურ ყორშია ამჟამად, აღნიშნულ მისამართებზე არ ცხოვრობს და მისი ადგილსამყოფელი უცნობია (იხ. სასამართლო უწყება და შეტყობინებაძ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად „თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. საჯარო შეტყობინება ხორციელდება იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში.

ზემოაღნიშნული მუხლის შესაბამისად, ქ. ზუგდიდი, ალმაშენებლის ქ. №89-ში მცხოვრებ თემურ ყორშიას მიმართ უნდა განხორციელდეს საჯარო პუბლიკაცია.

სარეზოლუციო ნაწილი

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე, 284-285-ე და 414-ე მუხლებით

**დაადგინა**

1. მოპასუხე თემურ ყორშიას საჯარო პუბლიკაციით ეცნობოს სასამართლო სხდომის დროისა და ადგილის შესახებ;
2. ფოთის საქალაქო სასამართლო წინამდებარე პუბლიკაციით მოპასუხე თემურ ყორშიას ატყობინებს შემდეგს:

სამოქალაქო საქმეზე №2/349 სს „თიბისი ბანკის“ სარჩელისა გამო მოპასუხეების თემურ ყორშიას, ლალი ჯინჭარაძესა და შპს „კვადრო 1“-ის დირექტორის ალვერი იზორიას მიმართ, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო თანხის დაკისრებისა და იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის თაობაზე მთავარი სხდომა დანიშნულია ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართზე: ქ. ფოთი, დავით ალმაშენებლის ქ. №3, სხდომის დარბაზი №2ძ 2010 წლის 30 აპრილს 12.00 საათზე:

3. განჩინების სარეზოლუციო ნაწილი გამოქვეყნებულ იქნეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“;
4. განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ დაიშვება.

**მოსამართლე ხელმოწერილია თეა ბერაია**
**ასლი სწორია**
**მოსამართლის თანაშემწე ნ. ხოშტარია**

◎ ინფორმაცია

# ვულკანური ზარალი 200 მილიონი ევროა!

**ისლანდიაში ვულკანის ამოფრქვევის შედეგად წარმოქნილი კვამლის გამო ევროპაში 64.000 ავიარეისი გადაიდო, ამის გამო ჯამში ევროპულმა ავიაკომპანიებმა ყოველდღიურად 200 მილიონი ევრო იზარალეს. კვამლის გამო მილიარდობით ევროს ზარალი მიადგა ზოგადად ევროკავშირის ეკონომიკას. ამის შესახებ ევროპული ქვეყნების ტრანსპორტის სამინისტროებზე დაყრდნობით „სი-ენ-ენი“ იუწყება.**

**გამოცემაში ნათქვამია, რომ ევროკომისიის პრეზიდენტმა მანუელ ბაროზომ სპეციალური კომისიის შექმნის ბრძანება გასცა. „სი-ენ-ენის“ ინფორმაციით, აღნიშულ კომისიას ევროპაში ფრენების შეჩერების შედეგად მიყენებული ზარალის დეტალურად დათვლა და პრობლემიდან გამოსავლის მოძებნა დაევალება.**

**— ვულკანის ამოფრქვევის შედეგად ევროპაში სრულიად უპრეცედენტო სიტუაცია შეიქმნა. მე ვთხოვე ვიცე-პრეზიდენტ კალასს უხელმძღვანელოს კომისიას, რომელიც აღნიშნული პრობლემის გადასაწყვეტად შეიქმნა, — განაცხადა ბაროზომ.**

**ჯი-ეიჩ-ენი**



**რეკლამა**
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77;
899 32-85-76.

საქართველოს პროფესიული განათლებისა და კვალიფიციური კადრების მომზადების მუშაკთა და სტუდენტთა პროფესიული კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება პროფესიული განათლების ღვაწლმოსილი და დამსახურებული მუშაკის

ანზორ ნუცუბიძის

გარდაცვალებას და კავშირის გამგეობის სახელით სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს. გამოსვენება 20 IV, 15 სთ. მისამართი: ნუცუბიძის II მკრ-ნი, II კვარტალი, X კორპ, ბ. 27.

## ყველაფერი ყველაფერზე

### ტრადიცია და მორალი

**მორალური კრიტერიუმების წარმოშობას, როგორც წესი, საფუძვლად უდევს ამა თუ იმ ტომის თუ ერის ტრადიციები, ცხოვრების წესი და რელიგიური მრწამსი. ცხოვრების წესის თავისებურებანი იმდენად განსხვავებული და ერთმანეთისთვის მიუღებელი იყო, რომ თანამედროვე ადამიანის განცვიფრებას იწვევს, თუ მას დღევანდელობის თვალით შევხედავთ.**



აი, ზოგიერთი ტომის ტრადიციების თავისებურებანი.

არსებობს ხალხი, რომელიც მისალმებისას ზურგს აქცევს ერთმანეთს და არასოდეს არ შეხედავს იმას, ვისაც სურს პატივი მიაგოს.

არიან ისეთები, რომელთა ბელადს, როცა ის გადაფურთხებას აპირებს, ყველაზე ღირსეული ქალბატონი შეუშვერს ხელს.

ზოგიერთ ხალხში გათხოვილმა ქალებმა არ უნდა იმრუშონ, ხოლო ქალიშვილებს შეუძლიათ, სურვილისამებრ, ვისთანაც სურთ, იმასთან გაიყონ სარეცელი.

თუკი ვაჭარს ცოლი მოჰყავდა, ჯერ ქორწილში მიწვეულ ყველა ვაჭარს უნდა დაემყარებინა სექსუალური კავშირი პატარძალთან და რაც უფრო მრავლად იქნებოდნენ ისინი, მით უფრო დიდი პატივი იყო ქმრისთვის, რადგან ეს მოწმობდა ცოლის ჯანმრთელობასა და შესაძლებლობებს.

არის ხალხი, რომელიც, როგორც მაიმუნები, სიამოვნებით კლავს კბილებით ტილებს, მაგრამ ფრჩხილებით მისი გაჭყლეტვა საზიზღრობად მიაჩნია.

არის ტრადიცია, როცა მამები საკუთარ ქალიშვილებს, ქმრები კი ცოლებს სტუმრებს დაუწვენენ გარკვეული თანხის საფასურად.

ზოგ ტომში ვაჟი ვალდებულია, მოკლას მოხუცი მამა, ხანდაზმული კაცები თავიანთ ცოლებს ახალგაზრდებს უთმობენ ვნებათა დასაცხრობად.

არის ისეთი ტომიც, სადაც ქალები კაბის კალთებზე ფოჩებს ატარებენ ღირსების ნიშნად და ამით საზოგადოებას აუწყებენ, თუ რამდენ მამაკაცთან ჰქონდათ კავშირი ცხოვრების მანძილზე (ამის საპირისპიროდ ცნობილია ასეთი ფაქტი: კუნძულ ხიოსზე 700 წლის მანძილზე არც ერთი შემთხვევა არ მომხდარა ქალისა და ქალიშვილის წესიერების შებილწვისა).

არის ხალხი, სადაც შვილები სცემენ მამებს, რადგანაც თავის დროზე მამები სცემდნენ თავიანთ მამებს, ეს უკანასკნელი კი წინაპრებს და ა. შ. ანუ დამკვიდრებული იყო მამათა ცემის ტრადიცია.

სპარსეთის მეფე დარიოსმა ჰკითხა რამდენიმე ბერძენს, რის ფასად დათანხმდებით, გადმოიღოთ ინდოელების ტრადიცია, რომლებიც საკუთარ მიცვალებულ მამებს ჭამდნენ. ზოგიერთები კი მიცვალებულებს თხრიდნენ, ზელდნენ, ვიდრე ფაფის მსგავს მასად არ იქცეოდა, მერე ღვინოში ურევდნენ და სვამდნენ. ისინი ფიქრობდნენ, რომ არ არსებობს უკეთესი განსასვენებელი, ვიდრე ახლობლების შიგნეულობა... ბერძნებმა უპასუხეს, რომ ამას არაფრის გულისთვის არ იზამდნენ.

როცა დარიოსმა მოინდომა დაერწმუნებინა ინდოელები, უარი ეთქვათ დამარხვის თავიანთ წესზე და ბერძნებისგან გადმოეღოთ მიცვალებული მამის ცეცხლზე დაწვის ადათი, მათ აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა...

### სამხედრო პატივით გააცილეს

**როცა გერმანია პირველ მსოფლიოში ომში დამარცხდა, ინგლისის არმიამ საქართველოში მყოფი გერმანელი ჯარისკაცების სამხედრო ტყვედ აყვანა მოსთხოვა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას, მაგრამ მან ომში გამარჯვებულ ინგლისს უარი უთხრა გერმანელ ჯარისკაცთა დატყვევებაზე, ისინი საქართველოში მოვიდნენ როგორც მეგობრები და გავაცილებთ როგორც მეგობრებს საქართველოს სახელმწიფო საზღვრებამდეო.**

და საქართველოს მთავრობამ გასცა ბრძანება: საქართველოში იმ დროს მყოფი გერმანელი ჯარისკაცები, რომლებმაც საქართველოს არმიასთან ერთად იბრძოლეს თურქების – გერმანიის მოკავშირის წინააღმდეგაც კი სამხედრო პატივით გაეცილებინათ. გერმანელები ასე მიაცილეს გემებამდე ფოთის ნავსადგურში, რის შემდეგაც ისინი ინგლისელებმა აიყვანეს სამხედრო ტყვეებად.

მოამზადა
**სანდრო ალექსიძე**

## მილოცვა



*გულითადად ვულოცავთ ნანატრი შვილიშვილის შეძენას კარგ პედაგოგებსა და მოქალაქეებს ინგა და თამაზ გელიტაშვილებს.*

*ჭეშმარიტად სასახელო ქალი გაზრდილიყოს პატარა ქეთევანი, რომლის გაჩენამაც ასე გააბედნიერა მათი ლამაზი ოჯახი და ვუსურვებთ, მომავალშიც ულევი სიხარული მოეტანოს მათთვის!*

***ნინო, რუსუდან, ილია რუსიები***

## დღის კალენდარი — 20 აპრილი

**ღირსისა გიორგი აღმსარებლისა, მიტილენელი მიტროპოლიტისა (820-ის შემდეგ); მოწამისა კალიოპესი (304წ; მოწამეთა: რუფინე დიაკონისა, აკვილინასი და მათთანა ორასთა მხედართა (დაახლ. 310წ; ღირსისა სერაპიონ მონაზონისა.**



**ამოდის 05.14**
**ჩადის 18.47**



**ამოდის 09.25**
**ჩადის 00.07**

### დაიბადნენ:

**1856 – ვასილ როზანოვი,** რუსი მწერალი, ისტორიკოსი, ფილოსოფოსი.

**1876 – იოსებ იმედაძე,** მწერალი, ლექსიკოგრაფი, საზოგადო მოღვაწე, გარდაიცვალა 1952 წელს.

**1889 – ადოლფ ჰიტლერი (შიკლგრუბერი),** გერმანიის რაიხსკანცლერი, გარდაიცვალა 1945 წელს.

**1926 – ელიზაბეტ II,** დიდი ბრიტანეთის დედოფალი.

### გარდაიცვალნენ:

**1314 – კლიმენტ V,** რომის პაპი, რომელიც დევნიდა ტამპლიერთა ორდენს.

**1947 – ქრისტიან X,** დანიის მეფე.

### მოვლენები:

**1770** – გაიმართა ასპინძის ბრძოლა, ქართულმა ლაშქარმა ერეკლე II-ის სარდლობით დაამარცხა ოსმალთა ჯარი.

**1656** – რუსეთში ვერცხლის მონეტები შეცვალა სპილენძმა.

**1770** – ინგლისელმა ნავიგატორმა ჯეიმს კუკმა ავსტრალიაში მიაღწია ჩრდილოეთ უელსს.

**1902** – კიურებმა მიიღეს სუფთა რადიუმი.

**მედიანიუსი**

## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.7499 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3302 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.6628 ლარი |
| 100 რუბლი | – 5.9520 ლარი |
| 1000 სომ. დრამა | – 4.3636 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.1778 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.2083 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.1643 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.5643 ლარი |



## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +11 – +22 |
| ქუთაისი. | +16 – +25 |
| ბათუმი. | +11 – +25 |
| ზუგდიდი. | +10 – +27 |
| თელავი. | +8 – +21 |

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“
გ. ახვლედიანის ქ. №19.
99-62-77; 899 32-85-76.

## კადრი



## ანეკდოტები

ჩამორჩენილი ქვეყანაა ყირგიზეთი... იქაურმა პრეზიდენტმა გადადგომის შესახებ განცხადება ფაქსით გაგზავნა. ესემესის საშუალებაც არ ჰქონიათ!

* * *

დღეს საღამოს ისლანდიის საელჩოსთან დადგმულ ნაგვის კონტეინერში ჩადეთ 30 მილიარდი ევრო. მაშინ გამოვრთავთ ვულკანს! პოლიციაში არ დარეკოთ!

* * *



ორი ძმაკაცი საუბრობს:

– როგორ მეცოდება ჩემი კატა – სულ კნავის, გაავებულია, სექსი უნდა. აი, წარმოიდგინე, რა ცუდ მდგომარეობაში იქნებოდი, სექსი რომ არ გქონოდა...

– საშინელებაა. სექსის საშუალება არა აქვს, თანაც, ხელების ნაცვლად თათები და ბრჭყალები აბია...

* * *

– მე შემიძლია ერთდროულად ათ რამეზე ვიფიქრო!

– მაგრამ თუ არაყს დალევ?

– მაშინ მხოლოდ ცხრაზე.

– ეს როგორ?

– როგორ და, რაკი არაყი დალეული მექნება, მასზე რაღ უნდა ვიფიქრო?

* * *

მამაკაცი, რომელიც ქალში მთელ სულს ჩადებს, ბოლოს და ბოლოს მოტყუებულ მეანაბრეთა რიგებს შეავსებს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.